603413833

სკ

№8
(11 157)

31 იანვარი – 3 თებერვალი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





ნაგანო-98 მოგვიახლოვდა

ზამთრის ოლიმპიური თამაშები 7 თებერვალს, მომავალ შაბათს გაიხსნება. საქართველოს დელეგაცია მზადაა ნაგანოში გასამგზავრებლად

● **სოკის** პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს სპორტისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის ოლიმპიადა-98 დედაქალაქის მერმა ტასუკუ ცუკადომ ნაგანოს საპატიო მოქალაქის დიპლომი გადასცა 77 წლის პრეზიდენტს, რომელიც უკვე ჩავიდა თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში. ცნობილი ესპანელი პირველი უცხოელია, ვისაც ეს დიპლომი ხვდა წილად.

● **ოლიმპიურფორუმზე გამოწყობილი ნიდერლანდების ტრადიციული ყვავილი ტიტა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების სიმბოლოა ნაგანოს თამაშებზე. იგი ნიდერლანდების 23 სპორტსმენს „წაუძღვება“ თამაშებზე. მათ შორის ყველაზე მეტი მოციგურავეა – 16.**

● **ავსტრია** თამაშებზე 106 სპორტსმენს მიავლენს. ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს. ეოკის პრეზიდენდ ლეო ვალნერის აზრით, გუნდი იაპონიაში სულ ცოტა, 9 მედლის მოპოვებას გეგმავს.

● **ოცდაათამდექვეყნის სახელმწიფო და მთავრობის წარმომადგენლებს, მონარქებსა და მათი ოჯახების, აგრეთვე სხვა მოდვაწეებს, რომლებიც „ძალზე მნიშვნელოვან პერსონა კატეგორიას განეკუთვნებიან, ელიან ნაგანოში 7 თებერვალს თამაშების გახსნაზე.**

მოსალოდნელია, რომ გახსნის ცერემოიალზე მონაწილეობას მიიღებენ იაპონიის იმპერატორი აკიხიტო, იმპერატრიცა მიტიკო, იმპერატორის საგვარეულოს სხვა წარმომადგენლები. აგრეთვე ქვეყნის პრემიერ მინისტრი რუტარო ხასიმოტო და მისი კაბინეტის წევრები. სტუმართა შორის იქნებიან ესპანეთის მეფე ხუან კარლოს I, შვეიცის მეფე კარლ XVI გუსტავი, ბრიტანეთის პრინცესა ანა, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვაცვლავ ჰაველი, ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტი თომას კლესტილი.

მოსალოდნელი იყო აშშ-ს პირველი ლედის ჰილარი კლინტონის ჩასვლაც, მაგრამ შეთავაზებულ მიწვევაზე უარი უთქვამს.

ძართული სპორტი: შედეგები, პერსპექტივები

ჩათვლა, ახალი ათვლის წინ

გუშინ ქართული სპორტის სადისპეტჩერო ორგანიზაციებში ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა – სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა კოლეგიის სხდომა ჩაატარა, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კი ნაგანოში ჩვენი დელეგაციის გამგზავრების წინ პრესკონფერენცია გამართა ჟურნალისტებისთვის. ორივე ორგანიზაციაში მოახლოებული ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი წარმომადგენლების მონაწილეობა იყო წამყვანი თემა. გამოცხადდა: საქართველოდან სამი სპორტსმენი გამოვა ნაგანოში – სამთომოთხილამურეები ზურაბ ჯიჯიშვილი და სოფიკო ახმეტელი, ტრამპლინიდან მხტომელი კახაბერ წაქაძე. ზურაბი და კახა 1994 წლის თამაშებშიც მონაწილეობდნენ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ის დიდი წვლილი, რაც თამაშებისთვის მზადებისა და მასში მონაწილეობის პირადად გაიღო ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ. ნაგანოში იგი საქართველოს ოლიმპიურ მისიას უხელმძღვანელებს.

დეპარტამენტის კოლეგიამ დაამტკიცა 1997 წლის სპორტული შედეგები, რომელიც თითქმის სამჯერ აღემატება 1996 წლის მონაგარს. „კარგი წელიწადი იყო, მაგრამ ზოგიერთი ფედერაციისთვის, თუმცა საყვედურებისგან თავს ვიკავებთ პირობების, მათ შორის ფინანსურის გათვალისწინებით“ – თქვა დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა. კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე შევჩერდებით: კოლეგიის გადაწყვეტილებით დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზა ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა შსს შინაგან ჯარებს, რომელიც დაეთანხმა დეპარტ. ენტისა და ფედერაციის შეთავაზებულ პირობებს. ესაა პირველი შემთხვევა, როცა სპორტის კონკრეტული სახეობის გადასარჩენად ახლებურ მიდგომას მიეცა გასაქანი. ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „ლელო“ ახლო მომავალში ცალკე დაუბრუნდება. ცალკე და ვრცლად ვისაუბრებთ აგრეთვე ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის (გლდანის ყოფილი სკოლა-ინტერნატი) სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე, რომელიც კოლეგიამ გულდასმით განიხილა სასწავლებლის დირექტორის მერაბ მეტრეველის ინფორმაციის შემდეგ.

სპორტის სპეციალისტებს, განსაკუთრებით მწვრთნელებს ვაცნობებთ, რომ კოლეგიამ ცვლილება შეიტანა „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდების შესახებ“ დებულებაში.

მკითხველს, ვფიქრობთ, უთუოდ დაინტერესებს ცნობა იმის შესახებ სპორტის დეპარტამენტის მიერ 1997 წელს თუ რა თანხებია გაცემული სპორტის სახეობათა ფედერაციებზე ბიუჯეტიდან.

1. თავისუფალი ჭიდაობა	–	272,1
2. ბერძნულ-რომაული ჭიდ.	–	250.9
3. ძიუდო	–	245.9
4. კალათბურთი	–	274.8
9. კრივი	–	128.8
10. ზამთრის სახეობები	–	84.1
11. სროლის სახეობები	–	84.1
12. მძლეოსნობა	–	60.9
13. ხელბურთი	–	87.7
14. ჩოგბურთი	–	83.0
15. ძალოსნობა	–	39.5
16. წყალთა სახეობები	–	34.9
17. ტანვარჯიში	–	65.7
18. ნიჩბოსნობა	–	20.9
19.ცხენოსნობა, ხუთჭიდი	–	40.1
20. ფარიკაობა	–	23.1
21. ველოსპორტი	–	10.8
22. ტაეკვონდო	–	21.4
23. ფრენბურთი	–	24.0
24. კეტბურთი	–	35.4
25. ბალახის ჰოკეი	–	19.1
სულ		1.907.400

ახლა იმასაც გადავხედოთ რა შედეგები მოიტანა ამ, ჩვენ ვიტყოდით, მიზერულმა თანხებმა, მაგრამ მანამდე გვინდა ერთხელ კიდევ ვთქვათ,

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდისა და მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაბა მესტიის სპორტსკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სამთო-სათხილამურო სპორტში *გივი ჯაფარიძე* საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოდა *დირსების ორდენით.*

თბილისელებს მატჩის გადარჩენის საუკეთესო შესაძლებლობა ბოლო წუთებში მიეცათ, როდესაც მუჯირი მშვენივრად გასცდა რამდენიმე კიეველ მცველს და შოვკოვსკისთან პირისპირ დარჩა. თითქოს, გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ უკანასკნელ წამს ექს-თბილისელმა კალაძემ თავგანწირული თამაშით გააუვნებელყო მუჯირის გარღვევა.

ერთადერთი გოლი კი მატჩის დასაწყისშივე გავიდა: კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გუსინმა თავი დაუხვედრა და ზოიძე უძულური იყო გადაერჩინა კარი.

როცა ნაგება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა

მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ კიევის „დინამოს“ კვლავ დაუბრუნდა მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი, გუნდმა საოცარი პროგრესი განიცადა და ევროპულ გრანდთა შორის ამოჰყო თავი, სწორედ მასთან მოუწია „თანამეგობრობა-98“-ის ტურნირის მეოთხედფინალში ასპარეზობა თბილისის „დინამოს“.

დინამო (კიევი) – დინამო (თბილისი) 1-0

დინამო (კ): შოვკოვსკი, ლუუნი, კალაძე, გოლოვკო, გერასიმენკო (მიხაილენკო), დმიტრულინი, გუსინი, კალიტვინცევი, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი.

დინამო (თბ): ზოიძე, გუჩუა, დიდავა (კვარაცხელია), ცქიტიშვილი, გოგობერიშვილი (ჯილაძე), კიკნაძე, აშვეთია, მუჯირი, პეტრიაშვილი (წიტაიშვილი), არსოშვილი, გელაძე.

გოლი: გუსინი (3)

წინა შეხვედრაში „სკონტოსთან“ განცდილმა მარცხმა ცოტა არ იყოს, პესიმისტურ ხასიათზე დააყენა ქართველი გულშემატკივრები, მაგრამ კიევის „დინამოსთან“ ჩატარებულმა მატჩმა დაგვანახა – არც ისე ცუდადაა საქმე, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს თამაშის გაძლიერების პოტენციალი ნამდვილად აქვს. ჩვენი ფეხბურთელები მოქმედებდნენ უფრო ორგანიზებულად და მიზანმიმართულად. განსაკუთრებით ეს ითქმის ნახევარმცველთა ცქიტიშვილი – კიკნაძე-მუჯირის ტრიოზე.

სამძიმარი

ბატონ ნოდარ ახალკაციის ოჯახს

ძალზე დამწყვიტა გული ბატონ ნოდარის გარდაცვალებამ.
ამქვეყნიდან მის წასვლასთან ერთად ქართულ ფეხბურთში ერთი დიდი ეპოქა დამთავრდა, ძალზე ლამაზი და რომანტიკული, რომელმაც არაერთი სიხარული მოუტანა საქართველოს.
სწორედ იმ წლებიდან, როცა თბილისის „დინამომ“ ბატონ ნოდარის თავკაცობით არნახულ წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე, ქართველი ერისათვის ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატვისა და გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება. ასე გრძელდება დღემდე და ამაში ბატონ ნოდარ ახალკაცის წვლილი განუზომელია – მისი სახელი როგორც დიდი მწვრთნელისა და ქვეყნის მოამაგისა, ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.
მადლობა ბატონ ნოდარს ყოველივე ამისათვის, მადლობა 1981 წლის 13 მაისის იმ დაუვიწყარი საღამოსათვის, როცა „დინამომ“ დიუსელდორფის სტადიონზე ქართული გენის და ჯიშის ტრიუმფალური გამობრწყინებით არნახული ზეიმი მოუწყო საქართველოს. ამ ზეიმის ავტორი და დამდგმელი ნოდარ ახალკაცი იყო და ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მისი მადლიერი იქნება ამისათვის.
თავს ვხრი მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.
ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ნოდარ ახალკაცის სახელი იარსებებს მანამდე, სანამ იარსებებს ქართული ფეხბურთი.

ედუარდ შევარდნაძე

სახალხო პარტია და საპარლამენტო ფრაქცია „სახალხო პარტია“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის

ნოდარ ახალკაციის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კირსან ილიუმჟინოვი

„პოლიტიკა პოლიტიკაა, ჭადრაკი კი ჭადრაკია“

გერმანულ საჭადრაკო ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტი დაგობერტ კოლმაიერი ეწვია ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს და რამდენიმე კითხვა მისცა, რომელიც ჩვენი გულშემატკივრებისთვისაც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

● ***რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო?***

– ბედნიერების ნამდვილი გრძნობა. 1995 წლის დეკემბერში ფიდეს კონგრესზე სინგაპურში განვაცხადე, რომ ჭადრაკი დიდი ცვლილებების წინაშე დგას. ყველაფერი უკვე კარგა ხანია ადგილზეა გაყინული, ნაბიჯიც კი არ იდგმევა წინ, ყველაფერი კონსერვატიულია, მაშინ, როცა სპორტის სხვა სახეობებმა მნიშვნელოვნად წაიწია წინ. ამას ჩვენი მხრივ ორწლიანი შეუპოვარი მუშაობა მოჰყვა. ისე რომ, როცა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო ნოკაუტ-სისტემით, უპირველეს ყოვლისა, კმაყოფილების გრძნობა მქონდა. საჭადრაკო სამყაროსათვის ეს იყო ისტორიული დღე. ამით ჩვენ დავასრულეთ მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების 110-წლიანი ტრადიცია.

● ***ფიდეს პრეზიდენტად 1995 წლის შემოდგომაზე აგირჩიეს. როგორია თქვენი მუშაობის შედეგები ამ ორი წლის შემდეგ?***

– პარიზში ამ არჩევნების შემდეგ ძალიან ბევრი რამ მოხდა. ჩავატარეთ მატჩი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ესპანეთში, მატჩი მსოფლიო პირველობაზე კარპოვსა და კამსკის შორის ელისტაში, ოლიმპიადა ერევანში და ფიდეს ორი კონგრესი. საჭადრაკო სამყაროს წინ წავიდა, საჭადრაკო ცხოვრება გაცხოველდა, მეგობრებიც შევიძინეთ და ფულიც მოვიპოვეთ.

● ***ფიდეში მიღებული ყველა თქვენი გადაწყვეტილება როდი ჩათვალა, როგორც დემოკრატიული. ავიღოთ, მაგალითად, 1996 წელს ბაღდადისათვის კარპოვ-კამსკის მატჩის მოწყობის უფლების მიცემა. მთელმა მსოფლიომ პროტესტი განაცხადა. ამბობდნენ „ფიდემ თავისი სული ეშმაკს მიჰყიდა?“ მიგაჩნიათ თუ არა დღეისათვის შეცდომად, რომ ბაღდადში ნიშნავდით მატჩს მსოფლიო პირველობაზე?***

– არა, არ მიმაჩნია. ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ჭადრაკს პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება და ამას ახლაც ვამბობ. რატომ არ უნდა ითამაშონ ჭადრაკი ერაყში? რატომ უნდა დაზარალდნენ ერაყელი ჭადრაკის მოყვარულები? მის მიმართ მიღებული სანქციები ხომ ეკონომიკური ხასიათისაა და არა სპორტული. პოლიტიკა პოლიტიკაა, ჭადრაკი კი ჭადრაკია.

● ***თქვენი მთავარი მიზანი ფიდეს***

იხ. მე-2 გვ.

ჩათვლა, ახალი ათვლის წინ

(პირველი გვერდიდან)

1:0 ხაზინის სასარგებლოდ – ჭიდაობა გაგრძელდება

რედაქციისაგან: ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ზრუნვის დონეზე და რანგშია ყველა ქვეყანაში. ჩვენში, სამწუხაროდ, დროულად ის მიზერული თანხაც ვერ მიიღო სეოკმა, რაც ზამთრის თამაშებში მონაწილეობისთვის იყო განკუთვნილი. „იშოვეთ და მერე მოგცემთ"! – სახელმწიფო ხაზინა თავიდან მოსაშორებელ ამ სიტყვებით ისტუმრებს ყველას და საუბედუროდ (!), ეს „ახალი წესი" ჩვენში ცხოვრების ნორმად იქცა. ასე დამკვიდრდა საქართველოში „სპორტის ახალი სახეობა – ხაზინასთან ჭიდაობა". ჯერჯერობით სპორტის დეპარტამენტთან და ოლიმპიურ კომიტეტთან ანგარიში ხაზინის სასარგებლოდაა 1:0. ცხადია, ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ ჭიდაობა გაგრძელდება და შესაძლებელია ანგარიში გათანაბრდეს.

ისე, ქართული სპორტის მომავალს რა ვუყოთ, თორემ, ხაზინასთან საჭიდაოდ თავის დამცირება ნამდვილად არ ღირს!

ჩატვლა

(ბოლო ადგილზე)

	ო	ვ	ბ	სულ
1. ჭადრაკი	10	5	4	19
2. ფიგურული სრიალი	–	1	–	1
3. ტაილანდური კრივი	–	–	2	2
4. კიკბოქსინგი	1	–	–	1
5. სამბო	12	14	16	42
6. ძიუდო	2	3	4	9
7. თავ/ჭიდაობა	5	1	4	10
8. ბ/რ ჭიდაობა	–	2	2	4
9. მძლეოსნობა	–	1	1	2
10. კალათბურთი	–	–	1	1
11. ჩოგბურთი	–	–	1	1
12. ფეხბურთი	1	–	–	1
13. ბატუტი	1	–	1	2
14. მკლავჭიდი	10	10	7	27
15. კრივი	1	–	1	2
16. ათლეტიზმი	1	–	–	1
17. გოჯუ კაი	–	1	–	1
18. გოჯუ რიუ კარატე დო	5	1	6	12
სულ:	49	40	49	138

გუცაევის დებიუტს მალჯა ელოდება

4 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში მიეგებაზვრება მალტის საერთაშორისო ოთხთა ტურნირში საასპარეზოდ.

ვლადიმერ გუცაევმა გუნდში გამოიძახა: *მეკარეები* — ნიკა ტოგონიძე (დინამო, თბ.), დავით გვარამაძე (სკონტო); *მცველები* — გიორგი ჩიხრაძე, გივი დიდავა, ლევან ცქიტიშვილი (ყველანი — დინამო, თბ.), კახი კალაძე (დინამო, კ.), ვახტანგ ხვადაგიანი (ალანია), მურთაზ შელია (მანჩესტერ სიტი), გელა შეყილაძე (დინამო, თბ.); *ნახევარმცველები* — გიორგი ნემსაძე (გრასჰოპერსი), გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი), გოჩა ჯამარაული (ტრაბზონსპორი), გიორგი გახოკიძე (ალანია), გიორგი კეკენაძე (დინამო, თბ.), თემურ ქუცბაია (ნიუკასლი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი); *თავდამსხმელები* — შოთა არველაძე (აიაქსი), არჩილ არველაძე (ბრედა), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), მიხეილ ყველაშვილი (გრასჰოპერსი).

როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე დებიუტანტია: დ. გვარამაძე, გ. დიდავა, ვ. ხვადაგიანი, ა. იაშვილი. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე არაა გამოძახებული. ეს, ერთის მხრივ, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ კახის, „ალანიადან" წამოსვლის შემდეგ, ფაქტიურად არსად უთამაშია და მისი „სიტიში" ჩარიცხვა ამ დღეებში წყდება.

შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების მალტური ტურნირის სათამაშო განრიგს: *6 თებერვალი.* საქართველო-ლატვია; *8 თებერვალი.* მალტა-საქართველო; *10 თებერვალი.* საქართველო-ალბანეთი.

ასე რომ, საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჩვენზე დაბალ „კალათებში" განლაგებული გუნდებია. ამიტომ, ალბათ, სამართლიანია ქართველი გულშემატკივრების იმედები, რომლებიც ამ ტურნირში ქვეყნის პირველი გუნდის გამარჯვებას ელიან.

ვლადიმერ გუცაევის დებიუტის შესახებ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მალე შევიტყობთ. ისე, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ როგორ იწყებდნენ თავის მოღვაწეობას მისი წინამორბედები.

გივი ნოდია. 27.05.1990 წელი. საქართველო — ლიტვა 2-2.

გიგა ნორაკიძე. 02.07. 1991 წელი. მოლდოვა — საქართველო 2-4.

ალექსანდრე ჩივაძე. 08.02. 1994 წელი. სლოვენია — საქართველო 1-0.

დავით ყიფიანი. 30.03.1997 წელი. საქართველო — სომხეთი 7-0.

სიტყვიდან – საქმეზე

ეკიდვნენ ერი - ეროვნული საქმეებანი

დოცენტ გივი ყირმელაშვილს კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა. ამ მუდამ მოფუსფუსე, ენერგიულ, დაუღალავ კაცს მრავალგზის გამოუვლენია ორგანიზატორული ნიჭი. არაერთი სიახლე დაუნერგავს, განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის ზრუნვაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას იგი ასევე მაღალ პროფესიულ დონეზე ეწევა ქართულ პრესაში, არა მხოლოდ ხედავს პრობლემებს, არამედ მის გადაჭრის გზებზეც მიუთითებს.

სწორედ ეს კაცი აირჩიეს ამ დღეებში „მოსახლეობის გაჯანსაღების ფედერაციის" პრეზიდენტად, ფედერაციისა, რომელიც თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ (უფროსი ვლადიმერ კანკავა) ქვეყნის პრეზიდენტის ამასწინანდელი ბრძანებულების ხორცშესასხმელად დააფუძნა. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის ეს ბრძანებულება — „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ", — მასობრივი სპორტისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის გააქტიურებას მოითხოვს სპორტის სპეციალისტებისგან. და აი, ახლა იშლება ახალი პერსპექტივა საიმისოდ, რომ სპორტმა ღირსეული ადგილი დაიკავოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. მოზარდ თაობას და ახალგაზრდობას კვლავ დაუბრუნდეს სიცოცხლის ხალისი, მათ ცხოვრებაში გზა მოუკაფოს მავნე ჩვევების დამკვიდრების შესაძლებლობას, შეიქმნას ერის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული ჯანსაღი მომავლის აღზრდის მტკიცე საფუძვლები.

მაშ ასე, ფედერაცია და მისი უნარიანი თავკაცი (ვიცე-პრეზიდენტი მარინე თარხნიშვილი, გენერალური მდივანი მერაბ კაკაბაძე) არენაზე გამოდიან.

მწუხარებას იზიარებენ

30 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოვიდნენ უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს ხელმძღვანელი ერიხ ეპლე და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, იმავდროულად უეფას ვიცე-პრეზიდენტი პერ რავნომდალი. როგორც ცნობილია, ევრო-2000-ის კენჭისყრამ საქართველო და ნორვეგია ერთ შესარჩევ ჯგუფში გააერთიანა. ნორვეგიელი მაღალჩინოსანი, ისარგებლებს რა თბილისში ჩამოსვლით, დაათვალიერებს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს, გაეცნობა საკომუნიკაციო საშუალებების სისტემას.

მ. სხირტლაძე

სპორტი რეგიონებში

ქობულეთი საჭადრაკო ცენტრად იქცა

ქობულეთში ორი წლის წინათ შეიქმნა რაიონის ჭადრაკის ფედერაცია (თავმჯდომარე იოსებ მჟავანაძე, მოადგილეები თენგიზ კონცელიძე და ამირან ბერძენიშვილი) და იმავე წელს ჩატარდა ხუთი რესპუბლიკური პირველობა და საჭადრაკო ფესტივალი. საერთაშორისო დიდოსტატებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ნანა იოსელიანმა კი აჭარისა და ქობულეთის ნაკრებებთან ერთდროული სეანსები გამართეს. იმავე წლის დეკემბერში, ამ ცნობილ მოჭადრაკეთა სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლაც გაიხსნა ქობულეთში. შარშან სკოლამ ჩაატარა ორი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი — „ქობულეთი-97" და „საქართველო-97", ათ რესპუბლიკურ პირველობას უმასპინძლა. გარდა ამისა, იმართება რაიონული და შიდასასკოლო ტურნირები. ახალგაზრდა სკოლამ ამჰანაგური შეხვედრებიც გამართა ზუგდიდის და სენაკის მოსწავლეებთან. სკოლის აღსაზრდელებმა სოფიკო გოგიტიძემ, მადონა ქათამაძემ, სალომე ცინცაბაძემ, რაისა მოწყობილმა, თამარ მჟავანაძემ, გიორგი მგალობლიშვილმა, ბესიკ კაკალაძემ, ნოდარ მიქელაძემ, ირაკლი კაკალაძემ, თორნიკე სარჯველაძემ, ირაკლი ნადირაძემ, გია მჟავანაძემ, არჩილ მჟავანაძემ და არჩილ კაკალაძემ საპრიზო ადგილები დაიკავეს საერთაშორისო რესპუბლიკურ და აჭარის პირველობებზე. 6 წლის გიორგი მგალობლიშვილი 10 წლამდე ჭაბუკებში აჭარის ჩემპიონი გახდა.

სკოლაში ასამდე მოზარდი მეცადინეობს ეროვნული ოსტატის და ეროვნული კატეგორიის მსაჯის ამირან ბერძენიშვილის, ამირან მჟავანაძის, ბაგრატ მჟავანაძის და გია ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. მომცადინეებს ყველა პირობას უქმნის 90-ე პროფესიული სასწავლებლის დირექტორი დავით მჭედლიშვილი.

რაც მთავარია, ტურნირების ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქობულეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ტარიელ ხალვაშს. წლეულს, ქობულეთელი მოჭადრაკეები იასპარეზებენ საქართველოს პირველობაზე 12, 14, 16, 18 და 20 წლამდე მოზარდთა პირველობებში. ქობულეთი კვლავ უმასპინძლებს რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებს, საჭადრაკო ფესტივალებს.

საჭადრაკო სკოლის 1998 წლის პირველობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

ა. მჟავანაძე,
ქობულეთი

„პოლიტიკა პოლიტიკაა, ჭადრაკი კი ჭადრაკია"

(პირველი გვერდიდან)

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გათიშული საჭადრაკო ამყაროს გამთლიანება იყო. ეს მძიმე პრობლემა დღესაც არ არის გადაწყვეტილი. კასპაროვი ამის შესახებ არ აპირებს არავითარ მოლაპარაკებას. გაქვთ თუ არა რაიმე იმედი გადაათქმევინოთ მას?

– ამ ბოლო წლების მანძილზე კასპაროვს ფიდეს მიმართ ძალზე ნეგატიური პოზიცია უკავია. ასე მეგონა, მას მოფიქრებისათვის სათანადო დრო სჭირდება, არ ვაღელვებდი, არ ვუტევდი, მის წინააღმდეგ ერთი ცუდი სიტყვაც კი არ მითქვამს. ჩვენი კარები მისთვის ყოველთვის ღია იყო. მას ჰქონდა მოჭადრაკეთა ოჯახში დაბრუნების საშუალება, მაგრამ ეს არ მოინდომა, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

● ***კვლავ ხომ არ მოუხმობთ მას?***

– არა, არავითარ შემთხვევაში. მთავარი ის არის, რომ მსოფლიოს 100 საუკეთესო მოთამაშეს საშუალება მიეცა ძალიან კარგი თანხა მიიღოს. ადრე ის მხოლოდ კასპაროვსა და კარპოვს ჰქონდათ.

კასპაროვი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ჭადრაკი კომერციული უნდა გამხდარიყო, რათა პროფესიონალებს მეტი თანხა მიეღოთ. და, გარდა ამისა, ჭადრაკი ოლიმპიური სახეობა უნდა გამხდარიყო. სწორია! ჩვენ კველაფერ ამას მსვლელობა მივეცით. სოკის პრეზიდენტი სამარანჩიც ხელს გვიწყობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კასპაროვმა თვით გადათქვა თავისი სიტყვა, უბრალოდ, რომ ვთქვათ, საჭადრაკო სამყარო მოატყუა.

● ***კასპაროვმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე პირადად გითხრათ უარი?***

– ეს პირადად ჩემს საწინააღმდეგოდ გადადგმული, ძალიან უტაქტო ნაბიჯი იყო. ხუან ანტონიო სამარანჩმა კასპაროვს თვით გაუგზავნა პერსონალური მიწვევა. მან დაგვითმო ოლიმპიური მუზეუმი მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩის ჩასატარებლად, ოფიციალურად აიღო მფარველობა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე. ყველაფერი ეს კასპაროვმა ქარს გაატანა, იმიტომ, რომ იგი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. როცა ჭადრაკი სპორტის ოლიმპიური სახეობა იქნება, იგი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას მოიპოვებს. ასობით ათას მოჭადრაკეს სტიმული მიეცემა. ეს ყველაფერი კასპაროვს არ აინტერესებს. იგი მხოლოდ პირად მიზნებს ითვალისწინებს და ამით სხვა დიდოსტატების ინტერესებს აინუნშიც არ აგდებს.

● ***მსოფლიო რანგ-ლისტში მეორემ, ვლადიმირ კრამნიკმა 1997 წლის სექტემბერში კიშინიოვში ფიდეს კონგრესზე თავისი კოლეგა დიდოსტატების სახელით პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ კარპოვი მსოფლიო პირველობაზე პირდაპირ ფინალში დაუშვეს. ამ პროტესტს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. რატომ?***

– კრამნიკს კიშინიოვში მსოფლიო პირველობაზე თამაშზე უარი არ უთქვამს. მან მოაწერა კიდეც ხელი კონტრაქტს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, მაგრამ შემდეგ გადათქვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მოჭადრაკეებთან გვაქვს საქმე და არა პოლიტიკოსებთან. მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ახალი დებულება არ არის დამოკიდებული დიდოსტატების სურვილებზე. დღეს თუ კასპაროვი და კრამნიკი არიან უძლიერესები, ხვალ სხვები იქნებიან. ახლა ბევრი ახალგაზრდა მოჭადრაკე მიილტვის წინ. ჰქონდა კრამნიკს იმის საშუალება დაემტკიცებინა, რომ იგი უძლიერესია, ეთამაშა, რათა მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო!

● ***გქონდათ მასთან უშუალო საუბარი?***

– რატომ უნდა მქონოდა. მე, რა, ყველას უნდა ვეხვეწო, რომ ითამაშოს? მე ასე არა ვფიქრობ და არც ფიდეს სჭირდება. ახლა გაცილებით უფრო მტკიცე პოზიცია გვაქვს, ვიდრე ორი წლის წინათ, როცა მუშაობა დავიწყე. არავის ვთხოვ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღონ. ისინი ხომ შეგნებული ადამიანები არიან, მათი საქმეა, მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებენ თუ არა.

● ***ისევ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების დებულებას დავუბრუნდეთ. ზოგიერთი მონაწილე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ ახალი რეგლამენტით კლასიკური ჭადრაკიც უნდა ითამაშო, სწრაფი ჭადრაკიც და ელვისებურიც. ეს შეჯიბრების გაუბრალოებას, დაკნინებას ხომ არ ნიშნავს?***

– კრიტიკოსი ბევრი გვყავს, ასე სჯობს ცხოვრება. ყველას აქვს კრიტიკის საფუძველი. მე მათ ასე ვუპასუხებ ხოლმე. „იფიქრეთ იმაზე, რომ უკეთესი სისტემა შექმნათ და შემოგვთავაზოთ!"

● ***ჭადრაკი სპორტის ოლიმპიური სახეობა უნდა გახდეს. ამას ისახავდა მიზნად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ლოზანაში ჩატარება. მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება ამის შესახებ არ არის მიღებული.***

– ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ამ თემაზე საუბარი მქონდა ბატონ სამარანჩთან. მისი თხოვნით სპეციალური სამედიცინო მოკვლევაც კი ჩავატარეთ იმის დასამტკიცებლად, რომ ჭადრაკი ნამდვილად სპორტის სახეობაა.

● ***როგორ და რანაირად მოხდა ეს?***

– გამოკვლევა ბელგიის სპორტულ ინსტიტუტში ჩატარდა. საერთაშორისო ტურნირის დროს ასზე მეტი მოჭადრაკის ტესტირება მოხდა. ამის შემდეგ 140-გვერდიანი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. იგი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ ჭადრაკი ნამდვილად სპორტია. უფრო მეტიც, კონკრეტულად დადასტურდა, რომ ჭადრაკი იმ 10 დისციპლინას მიეკუთვნება, რომელიც უდიდეს სტრესს და უზარმაზარ ემოციას იწვევს. ეს მასალები ლოზანაში სოკ-ს გადავუგზავნეთ. ყველა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უსურვა ფიდეს, რომ ჭადრაკი ოლიმპიური სახეობა გახდეს. ისე რომ, ეს საქმე საკმაოდ წინ წავიდა, სასიკეთო პირი აქვს.

● ***1998 წლის შემოდგომაზე თქვენს მშობლიურ ქალაქ ელისტაში უნდა ჩატარდეს მორიგი საჭადრაკო ოლიმპიადა. უკვე საბოლოოდ დადგინდა მისი ჩატარების თარიღი?***

– დიახ, საბოლოოდ. იგი ფიდეს გადაწყვეტილებით 25 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე გაიმართება. რაც კი წინასწარ მზადებას ეხება, აქ ყველაფერი წესრიგშია. ყველაფერი გეგმის თანახმად ტარდება. მონაწილეებისათვის, რომლებიც მსოფლიოს ხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ, საუკეთესო პირობები იქნება შექმნილი.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი", ნორჩ ალპინისტთა აღმზრდელი

ᲓᲘᲜᲔᲖᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მუშაკი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის სპორტული ორგანიზაციების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ცნობილი საფეხბურთო მოღვაწის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი „ქართლოსი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიიდან

მსოფლიო თასიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატების ოფიციალური სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა. დასაწყისში მას „მსოფლიოს თასი“ ერქვა, შემდეგ „ჟიულ რიმეს თასი“, „მსოფლიო ჩემპიონატი – ჟიულ რიმეს თასი“, ახლა კი, უბრალოდ, მსოფლიო ჩემპიონატი.

მის დაარსებაში უდიდესი როლი შეასრულა გამოჩენილმა ფრანგმა სპორტულმა მოღვაწემ ჟიულ რიმემ. იგი დაიბადა 1873 წლის 24 ოქტომბერს ტილილე-ლავანკურში. 1901 წელს დააარსა პარიზის საფეხბურთო კლუბი „რედ სტარი“. დასაწყისში მისი ადმინისტრატორი იყო, 1904 წლიდან კი – კლუბის პრეზიდენტი. 1910 წლიდან საფრანგეთის ლიგის პრეზიდენტად აირჩიეს, 1919 წელს კი თვით იყო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის (ფფფ) ინიციატორი. მას რეკორდულად დიდხანს (1919-1949) ხელმძღვანელობდა. მიიღო იურიდიული განათლება და ერთხანს ადვოკატადაც მუშაობდა. 1921 წლის 1 მარტს აირჩიეს ფიფას პრეზიდენტად. ამ თანამდებობას ასევე მეტად დიდხანს – 1954 წლამდე ასრულებდა. თავის მთავარ დამსახურებად მსოფლიო ფეხბურთში ჟიულ რიმე ყოველთვის თვლიდა მსოფლიო ჩემპიონატის დაარსებას, რისთვისაც დიდი პირადი ძალისხმევა დასჭირდა: 1928 წელს ფიფას ამსტერდამის კონგრესზე მან წამოაყენა ეს იდეა. ამ პერიოდისათვის გარკვეულად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ის შეჯიბრებები, სადაც მხოლოდ პროფესიონალი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ და ოლიმპიადის მოყვარულთა ტურნირები. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორ ჟიულ რიმეს ერთ-ერთი მთავარი იდეაც სწორედ ეს იყო – ისეთი პაექრობის მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებდა ყველა საუკეთესო, პროფესიონალი იქნებოდა იგი თუ მოყვარულის სტატუსით ითამაშებდა. გავიდა ერთი წელი – გაიმართა ფიფას კონგრესი ბარსელონაში. აქ მიიღეს

პრინციპული გადაწყვეტილება პირველი მსოფლიო ჩემპიონატის 1930 წელს ურუგვაიში მოწყობის შესახებ. ამით ჯერ ერთი პატივი სცეს ურუგვაის, რომლის ნაკრებიც 1924 და 1928 წელს ოლიმპიური ჩემპიონი იყო. ამან ამერიკის კონტინენტზე ფეხბურთი მეტად პოპულარული გახადა. ამასთან, ურუგვაი, ეს პატარა ქვეყანა, 1930 წელს თავისი დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ზეიმობდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ურუგვაისათვის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლების მიკუთვნებამ ევროპული ქვეყნების კმაყოფილება გამოიწვია, მათ თვით უნდოდათ ესოდენ პრესტიჟული ასპარეზობის მოწყობა. ამიტომ ჟიულ რიმეს მთელი თავისი ლოგიკისა თუ პირადი მომხიბლავობის გამოყენება მოუხდა იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ურუგვაიში ოთხ ქვეყანას – საფრანგეთს, ბელგიას, რუმინეთსა და იუგოსლავიას მაინც გაეგზავნათ თავიანთი ნაკრებები.



1938 წ. ფიფას პრეზიდენტი ჟიულ რიმე (ცენტრში) მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრაზე

საჭირო იყო მსოფლიო ჩემპიონებისათვის საგანგებო ჯილდოს დაწესება. და აი, ფიფამ ცნობილ ფრანგ იუველირ აბელ ლეფლერს შეუკვეთა გამოექანდაკებინა ბერძნული მითოლოგიით გამარჯვების ქალღმერთი – ნიკე. მაღლა ხელებაშვერილი ქალღმერთი ნიკე მთლიანად ოქროსი იყო და ძვირფასქვებიანი კვარცხლბეკი ჰქონდა. ჯერ მას, უბრალოდ, "ოქროს ქალღმერთს" უწოდებდნენ, მაგრამ 1946 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ ფიფას პრეზიდენტს ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა, „ჟიულ რიმეს თასი“ დაარქვეს. მის სამუდამო დასაუფლებლად, დაწესებული დებულების მიხედვით, რომელიმე ქვეყნის ნაკრებს სამჯერ უნდა მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონობა. ის, ვინც მსოფლიო ჩემპიონობას ერთხელ მოიპოვებდა, მას 4 წლის ვადით იღებდა და ახალი პირველობის დაწყებისას მორიგი ჩემპიონატების ორგანიზატორებს აბარებდა. თვით ჟიულ რიმე 80 წლის შესრულებასთან ერთად ფიფას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა, 1956 წლის 15 ოქტომბერს კი გარდაიცვალა.

1966 წელს საგანგებო შემთხვევა მოხდა. იმ დროს, როდესაც ურუგვაის, იტალიისა და ბრაზილიის ნაკრებებს მსოფლიო ჩემპიონობა ორ-ორჯერ ჰქონდათ მოპოვებული, „ოქროს ქალღმერთი“ ლონდონის გამოფენიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს. მთელი სპორტული სამყარო შეშფოთდა, დაიწყო გაფაციცებული ძებნა. ბოლოს მას მიაგნო, სკვერის ერთი ხის ძირში ჩაფლულს, პატარა ძაღლმა, რომელსაც „პიკლსი“ ერქვა. ძაღლმა, ცხადია, საყოველთაო აღტაცება გამოიწვია და იმ დღიდან მოყოლებული, „სერ პიკლსის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

1970 წელს ბრაზილიის ნაკრებმა უკვე მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და „ოქროს ქალღმერთიც“ სამუდამოდ გადაეცა. მას შემდეგ დაწესდა ახალი პრიზი, რომელსაც „ფიფას მსოფლიო თასი“ ეწოდა. ამასთან, იგი უკვე გარდამავალია, მუდმივად ვერავინ დაეუფლება, ჩემპიონებს კი მის შემცირებულ ასლს აძლევენ. „ფიფას მსოფლიო თასი“ იტალიელი მოქანდაკის – გაზანიგას ნახელავია. ცოკოლზე დევს 36 სმ სიმაღლის თასი 18 კარატიანი ოქროთი (4 970 გრამს იწონის). თვით ცოკოლზე კი 17 გრავიურაა. ამ თასმაც ერთხელ ძალიან აადელვა ფეხბურთის მთელი სამყარო. საქმე ის არის, რომ იგი 1983 წლის ბოლოს ქურდებმა კვლავ მოიპარეს, და, როგორც ჩანს, გადაადნეს. მის მაგივრად, ცხადია, სხვა გაკეთდა.

1974 წელი. ფრანც ბეკენბაუერი (მარცხნივ) და იოზეფ მაიერი მსოფლიო ჩემპიონატის ახალი თასის მოპოვების შემდეგ

„ოქროს ქალღმერთიდან“ „ფიფას ოქროს თასამდე“ გრძელი გზაა. ერთიც მუზეუმში ინახება და მეორეც, მაგრამ თუ „ოქროს ქალღმერთი“, როგორც მუდმივი საკუთრება, უკვე დავის საგანი აღარ გახლავთ, „ფიფას ოქროს თასს“ დაუფლება, თუნდაც ასლის სახით, ახლა მთელ 32 პრეტენდენტს სურს. ვინ იქნება ეს იღბლიანი?

რატომ მოიტაცეს პრეზიდენტის ქალიშვილი?

ამას წინათ, როგორც გაუწყეთ, ვლადიკავკაზში მოიტაცეს მეექვსეკლასელი გოგონა ზალინა ბითაროვა — საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ გენერალური დირექტორის ბათრაზ ბითაროვის ქალიშვილი. სამმა ნიღბიანმა ბანდიტმა ვლადიკავკაზის ცენტრში დღისით-მზისით ხელები გადაუგრიხა გოგონას, მანქანაში ჩასვეს და გაუჩინარდნენ.

სამართალდამცავთა აზრით, ამ აქციის მიზანია დიდი გამოსასყიდი თანხის მიღება. მაგრამ გადის დღეები და ბანდიტები არ ჩქარობენ თავიანთ მოთხოვნების გამომზიურებას.

ამასთანავე, ვლადიკავკაზში იხილავენ სხვა ვერსიასაც. „ალანიას“ ბოლოდროინდელი აღზევება მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ხალხისთვისაა გასაკვირი — როგორ მოხდა, რომ რუსეთის ერთ-ერთ ღარიბ რეგიონში შექმნეს უმდიდრესი საფეხბურთო გუნდი. ხუთნახევარი მილიონი დოლარი დაჯდა „ალანიას“ საწვრთნელი ბაზის მშენებლობა, ორი მილიონი — სტადიონის რეკონსტრუქცია. ახლა იმ თანხებს არ იკითხავთ, რომელიც ყოველწლიურად ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის თასის გათამაშებას ხმარდება? ამ ტურნირში ხომ მსოფლიოს უძლიერესი კლუბები მონაწილეობენ! 1995 წელს, როდესაც „ალანია“ რუსეთის ჩემპიონი გახდა, თითოეულმა მოთამაშემ და შწვრთნელმა „მერსედესის“ უახლესი მარკის ავტომანქანა მიიღო. და ეს ხდება იმ რეგიონში, სადაც არ არის ძლიერი საბანკო სტრუქტურები, სამრეწველო ობიექტები.

ვინც საფეხბურთო ბიზნესში გათვითცნობიერებულია, იცის, რომ ვლადიკავკაზის გუნდს საბიჯეტო თანხები არ ეძლევა. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა ჩაბმულია „არყის ბიზნესში“. მისი ტექნოლოგია ძალიან მარტივია. საქართველოდან, ფოთის პორტიდან ვლადიკავკაზში ჩადიოდა სპირტი, რომლისგანაც ხდიდნენ იაფ არაყს. იგი მთელ რუსეთში საღდებოდა. შედეგად, რუსეთის ბიუჯეტი უზარმაზარ თანხებს ჰკარგავდა. სწორედ ამიტომ რუსმა მესაზღვრეებმა ჩრდილოეთ ოსეთში შემავალი გზები გადაკეტეს და ყველაფერმა ამან მოსახლეობის ჯიბეზეც უარყოფითად იმოქმედა. ცხადია, „ალანიასაც“ მოაკლდა საარსებო წყარო. ამიტომ იყო, მოთამაშეებმა შარშან შეპირებული თანხები ვერ მიიღეს და გუნდმა ჩემპიონატში მხოლოდ მეათე ადგილი დიაკავა. ამ მდგომარეობამ დიდი სიძნელეები შეუქმნა „ალანიას“ გენერალურ დირექტორს, რომელსაც „პარტნორებთან“ ურთიერთობაში პრობლემები წარმოეშვა. იქნებ, ალბათ სწორედ ამიტომაც მოიტაცეს მისი არასრულწლოვანი ქალიშვილი.

გაზეთ „სპორტ-კალეიდოსკოპის“ მასალებზე დაყრდნობით მოამზადა
ჯემალ ჭიკაშვილმა

„იქნებ ჩეზარე მალდინიმ მომხედოს...“

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მარკო ნებრის სახელი ქომაგთათვის ბევრს არაფერს ნიშნავდა – უბრალო კლუბის „პერუჯას“ უბრალო მოთამაშე. „პერუჯა“ იტალიის უმაღლესი საფეხბურთო ლიგიდან (სერია A) გამოეყარდა ბოლოს წინა სეზონში, მაგრამ მარკომ იმ სეზონის დასასრულს მოასწრო „დაქუხება“ (15 გოლი ჩაიწერა) და მიიპყრო კიდეც „ძლიერთა ამა ფეხბურთისა“ ყურადღება. იგი შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა“ შეიძინა, თანაც თავდამსხმელის კვალობაზე საკმაოდ იაფად – 4,5 მილიონ დოლარად. დაიწყო შოტლანდიის ჩემპიონატი და მარკომ მალე დაამტკიცა, რად ღირდა – პირდაპირ გოლების „კორიანტელი“ დაადინა, როცა პირველ ათ ტურში 23 (!) ბურთი შეაგდო. ახლა იქ ჯერ მხოლოდ შუა პირველობაა და 26 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე უკვე 30 გოლია...

● *მარკო, იცით, რომ შოტლანდიის ახალი რეკორდი დაამყარეთ?*

– ყური მოვკარი: ზედიზედ ათი მატჩი არ გავსულვარ მინდვრიდან უგოლოდ. მგონი, მრავალი წლის რეკორდი დამიმხია?

● *არაერთი ათწლეულისა; თანაც ნაირნაირი რაოდენობით გაგქონდათ...*

– მართალია; ისეც ხდებოდა, რომ ერთ თამაშში ორ-ორ, სამ-სამ, ოთხ-ოთხ და ხუთ-ხუთ ბურთსაც ვაგდებდი.

● *შოტლანდიაში ალბათ უფრო იოლია გოლის გატანა, ვიდრე იტალიაში?*

– გაცილებით. ისეთი დაცვა, როგორიც იტალიაშია, არსად არ არის და არც შეიძლება იყოს; ტყუილად კი არ უწოდებენ „გაუვალს“.

● *არ გაგიკვირდათ, როცა გლაზგო რეინჯერსმა მიგიწვიათ?*

– გამიკვირდა და მერე როგორ! მაგრამ მწვრთნელმა უოლტერ სმითმა ამიხსნა, რომ საერთოდ შოტლანდიაში და კერძოდ, „რეინჯერსში“ მწვავედ დგას თავდამსხმელთა პრობლემა. აქაური მცველები თავაზიანობით როდი გამოირჩევიან და ხომ გესმით, ეს ჩვენ რა დღეშიც გვაყენებს.

● *თქვენ ხომ შოტლანდიაში ჯერჯერობით აგცდათ ტრავმები...*

– არც მთლად ეგრეა. დეკემბრის შუაში მსუბუქად დავშავდი, ორი თამაში გამოვტოვე. ახლა ფორმაში ვარ უკვე, არაფერი ისეთი.

● *გოლების გატანისას გონებაში ალბათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი გიტრიალებთ?*

– რატომ მოგატყუოთ – მართლაც მიტრიალებს; მიუხედავად იმისა, რომ მესმის: რამდენიც არ უნდა შევაგდო შოტლანდიაში, იტალიის ნაკრებში მოხვედრის შანსები პრაქტიკულად არ მაქვს. ჩემს ქვეყანაში თავდამსხმელები არ აკლიათ – დელ პიერო, ვიერი, კაზირაგი, რავანელი... და მაინც, მიზანში როგორც კი მოვახვედრებ, გუნებაში ღმერთს ვევედრები, რომ ჩეზარე მალდინიმ ნახოს ეს გოლი, რომ მეც ვყავდე მხედველობაში. ნაკრებში ერთხელ მაინც თამაში, თუნდაც ეს მსოფლიო ჩემპიონატზე არ იყოს – ჩემი ყველაზე დიდი ოცნება გახლავთ.

● *შოტლანდიაში უმალვე იქეცით ხალხის ნებიერად, ბრაიან ლაუდრუპი და გასკოინიც კი დაჩრდილეთ...*

– ამას არ ვანიჭებ მნიშვნელობას, როგორც იმას, რომ სტადიონის ტრიბუნებზე სულ უფრო ხშირად ვხედავ მაისურებს ჩემი გვარით. ხალხის სიყვარული უაღრესად ცვალებადი რამ არის, ქომაგები კერპებს ისევე სწრაფად ივიწყებენ, როგორც ქმნიან. მიიხედ-მოიხედეთ, რამდენი მაგალითია.

● *მართალია, თითქოს გასკოინს სეზონის დაწყების წინ „დაევალებინოს“ 30 გოლის გატანა?*

– ეს ხომ მეგობრული რჩევა იყო. მან მითხრა, „შეყარე ამდენი და მაშინ დიახაც, გაგიწევენ ანგარიშს“. მხოლოდ ჩემპიონატში, თანაც ნახევარ სეზონში გავიტანე 30 (და კიდევ სამ-სამი შოტლანდიის თასზე და უეფას თასზე); თანაც, დამიჯერეთ, ეს საბოლოო რაოდენობა როდია.

...იტალიიდან შოტლანდიაში „პერუჯადან“ „გლაზგო რეინჯერსში“ ნახტომი „გეოგრაფიულადაც“ უზარმაზარია და სპორტულადაც: შოტლანდიური კლუბი არც სახელით გახლავთ ხელწამოსაკრავი – ხუმრობა ხომ არ არის თუნდაც ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონობა – და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არც მატერიალური მდგომარეობით. მარკო ნეგრი ჯერჯერობით წარმატებით ამტკიცებს, რომ მარჯვედ გადამხტარა...

მოამზადა
თამაზ ეგანოიძემ

FRANCE 98
COUPE DU MONDE

იუგოსლავია

იუგოსლავიური ფეხბურთის „ახალი ერა“

1992 წელს, როცა იუგოსლავიის ნაკრების „სავეზნი კაპიტანი“ (ჩვენებურად — უფროსი მწვრთნელი) ივიცა ოსიმი (ეროვნებით ბოსნიელი ხორვატი) თავისი ფეხბურთელებითურთ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილისათვის ემზადებოდა, მან გამოაგნებელი ცნობა მიიღო. იუგოსლავიელები შვეიცარიაში არ დაუშვეს და ისინი შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გამოსული დანიელებით შეცვალეს. თუმცა ეს რა იყო პოლიტიკურ მოვლენებთან შედარებით. იუგოსლავია ხუთ სახელმწიფოდ დაიშალა, შეკვეცილ იუგოსლავიას (სერბია და ჩერნოგორია) კი მკაცრი სანქციები დაუწესეს. ამიერიდან ამ ქვეყანასთან სხვა კავშირებთან ერთად სპორტულიც უნდა შეწყვეტილიყო. ეს იძულებითი იზოლაცია კარგა ხანს გაგრძელდა და ყველა სხვა სფეროსთან ერთად იუგოსლავურ ფეხბურსაც საგრძნობი ზიანი მიაყენა. იუგოსლავიელები ევროპულ ასპარეზს გამოთიშეს და ამიერიდან მხოლოდ შინაური ასპარეზით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. გამოჩენილმა ფუტბალისტებმა თავს უშველეს, ზოგი სად გადავიდა და ზოგი სად.

ბოლოს, როგორც იყო, იუგოსლავიელებს ეს სანქციები მოუხსნეს. ისინი მსოფლიო პირველობის მეექვსე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში აღმოჩნდნენ ესპანელებთან, სლოვაკებთან, ფარერების ნაკრებსა და მალტელებთან ერთად. რა შეიძლება ითქვას ასეთ მეტოქეებზე? მთავარი მოწინააღმდეგეები, ცხადია, ესპანელები იყვნენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ, ან იუგოსლავიელებს ორ ევროპულ „ლილიპუტთან“ — მალტისა და ფარერების ნაკრებთან ქულა დაეკარგათ, თუმც სლოვაკები შეიძლება საშინაო მატჩებში სახიფათო ყოფილიყვნენ. ვინ იცის..

იუგოსლავიის ნაკრების ახალი მწვრთნელი გახდა სლობოდან სანტრაჩი, წარსულში კარგად ცნობილი თავდამსხმელი. მან. მოუხმო იაპონიაში მოთამაშე დრაგან სტოიკოვიჩს, რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, შემდეგ კი ტრავმებმა გააწამეს, დეიან სავიჩევიჩს, რომელმაც „მილანში“ დიდი აღიარება მოიპოვა, შესანიშნავ სნაიპერ პრედრაგ მიატოვიჩს, ესპანეთის ლიგაში რომ ბრწყინავდა. ერთი სიტყვით იუგოსლავიელებმა ძლიერი ნაკრები შექმნეს და შეეძლოთ მომავლისათვის იმედით ეცქირათ.

პირველი მატჩები უფრო საწვრთნელს წაგავდა: შინ ფარერებთან 3-1 (სავიჩევიჩი — 2, მილოშევიჩი), შინ მალტელებთან (მილოშევიჩი — 2, სავიჩევიჩი — 2, აქედან ერთი პენალტით, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი), სტუმრად ფარერებთან 8-1 (მილოშევიჩი — 3, იოკანოვიჩი — 2, მიატოვიჩი, იუგოვიჩი, სტოიკოვიჩი). აქ არც მოულოდნელი რამ იყო და არც მაინცდამაინც საამაყო. აი, ევროპის ვიცე-ჩემპიონებთან, ჩეხებთან შეხვედრას ბელგრადში კი სულ სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა. ამით იწყებოდა მათთვის, ფაქტობრივად, შესარჩევი ასპარეზობა.

მასპინძლები, რომლებსაც ამ დღეს, 1996 წლის 10 ნოემბერს აკლდათ სავიჩევიჩი, ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კოჩიჩი, მიხაილოვიჩი, ვიდაკოვიჩი (ჟიუკოვიჩი, 46), ჯუროვიჩი, ჯუკიჩი, იოკანოვიჩი, ბრნოვიჩი, იუგოვიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი (ჩურჩიჩი, 76). შეხვედრას „მარაკანაზე“, როგორც ეძახიან ხუმრობით ბელგრადის „ცრცვენა ზვეზდას“ სტადიონს, 70 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მასპინძლებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათ კართანაც არანაკლები სახიფათო მომენტი იქმნებოდა, რადგან ჩეხები, როგორც ცნობილია, კონტრშეტევის დიდი ოსტატები არიან. მწვრთნელმა სანტრაჩმა კარგად აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, მინდორზე შემოიყვანა მცველი ივეკოვიჩი და ამით უნარიანად განმუხტა დაძაბულობა საკუთარ კართან. მატჩის ბედი კი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მიატოვიჩმა უკვე მე-18 წუთზე გაიტანა იუგოვიჩის ჩინებული გადაცემის შემდეგ. 12 ქულით იუგოსლავიის ნაკრები ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ჩეხების დამუხრუჭება, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიღწევად ჩაითვალა, მაგრამ წინ იყო მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მთავარ მეტოქეებთან, ესპანელებთან, რომლებიც განთქმული არიან თავიანთი პირდაპირ შეუვალი დაცვით. ეს, პირველ რიგში, სწორედ იუგოსლავიელებისათვის იყო ცნობილი, რომელთა უმრავლესობა სწორედ ესპანეთის კლუბებში გამოდის. მოლოდინი გამართლდა — იუგოსლაველმა თავდამსხმელებმა ვალენსიაში ვერაფერი დააკლეს მასპინძლებს, ესპანელებმა კი ორი გოლი გაიტანეს. ამ გამარჯვებით ესპანელებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლეს. ახლა საკითხი შეჯიბრების ბოლომდე ასე იდგა — ვინ გადაასწრებდა, ხავიერ კლემენტეს შესანიშნავად ორგანიზებული ნაკრები თუ იუგოსლავიელები თავიანთი ბრწყინვალე თავდამსხმელებით. ჩეხები უმიდოდ ჩამორჩნენ მას შემდეგ, რაც პრაღაში იუგოსლავიელებთან დამარცხდნენ — 1-2 (სტუმრებიდან გოლები გაიტანეს მიატოვიჩმა და უკანასკნელ წუთზე — მილოშევიჩმა).

პირველი ადგილის ბედი შეიძლებოდა 30 აპრილის მატჩს გადაეწყვიტა ბელგრადში, როცა იუგოსლავიელებმა ესპანელები მიიღეს იმავე „მარაკანაზე“ (68 ათასი მაყურებელი). მასპინძლების შემადგენლობაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა: კრალი, მირკოვიჩი, ვიდაკოვიჩი (ზ. პეტროვიჩი, 46): გოვედარიცა, ჯუკიჩი, მიხაილოვიჩი (ჩირჩი, 79), ჯუროვიჩი, სავიჩევიჩი (მილოშევიჩი, 37), მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, დრულოვიჩი. სანტრაჩის ერთი დიდი უპირატესობა ის გახლავთ, რომ მას ყოველთვის დიდი არჩევანი აქვს, არც ცალკეული მოთამაშეების ტრავმა აშინებს. კიდევ ერთი რამ, ასე ვთქვათ, „სხვა ოპერიდან“: როცა მინდორზე პეტროვიჩი გამოდის, მას მაყურებლები გამაყრუებელი სტვენით ხვდებიან, თვლიან, რომ იგი ადრე ხორვატიის ნაკრებში თამაშობდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გაუგებრობაზე არის აგებული — ფიფას წესებით ფეხბურთელს, რომელიც ერთ ნაკრებში თამაშობს, მეორეში გამოსვლის უფლება, უბრალოდ, არა აქვს.

ბელგრადის მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ესპანელები იუგოსლავიელებისათვის მეტისმეტ „კერკეტ კაკლებად“ რჩებიან. იერმა მე-19 წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში. ეს უპირატესობა ესპანელებმა თითქმის თამაშის მიწურულამდე შეინარჩუნეს, როცა მიატოვიჩმა 87-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა — 1-1. ესპანელებმა შეინარჩუნეს ერთქულიანი უპირატესობა.

დეიან სავიჩევიჩი

ამას მოჰყვა ორი შეხვედრა სლოვაკებთან, რომლებსაც საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავთ. უნდა აღინიშნოს ერთი რამ: სანტრაჩი სისტემატურად ცვლის მეკარეებს, რომელთა თამაში მთლიანად არ აკმაყოფილებს. თუ პირველ მატჩში სლოვაკებთან (2-0, გოლები გაიტანეს სავიჩევიჩმა და მიატოვიჩმა) კარს კრალი იცავდა, ბრატისლავაში, სადაც მასპინძლები დიდხანს წინ იყვნენ, იუგოსლავიელები არაერთხელ იხსნა ნაკრების დებიუტანტმა დრაგოე ლეკოვიჩმა. შემდეგ მან ტრავმა მიიღო და დრაგან კოჩიჩმა შეცვალა. სტუმრებმა კინაღამ წააგეს — ისინი მე-80 წუთზე საჯარიმო დარტყმების დიდმა სპეციალისტმა სინიშა მიხაილოვიჩმა იხსნა — 1-1.

ესპანელები უკვე სამი ქულით გავიდნენ წინ. მდგომარეობა არც ბოლო ტურში შეცვლილა, როცა იუგოსლავიელებმა ვალეტაში იოლად სძლიეს — 5-0 (მილოშევიჩი, მიხაილოვიჩი, სავიჩევიჩი, მიატოვიჩი, იუგოვიჩი) მალტელებს.

ამრიგად, იუგოსლავიელებმა 10 თამაშიდან 23 ქულით (7 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 29-7) მეორე ადგილი დაიკავეს. ყურადღებას იპყრობდა მათი თავდამსხმელების მაღალი შედეგიანობა: მილოშევიჩმა 8 ბურთი გაიტანა, მიატოვიჩმა — 7, სავიჩევიჩმა — 6. ახლა ყველაფერი სხვა ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ ნაკრებთან ორ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ვინ იქნებოდა ეს მეტოქე?

გადმოცემით, როცა სლობოდან სანტრაჩმა გაიგო, რომ მის გუნდს დამატებითი შეხვედრები უნგრელებთან უნდა ჩაეტარებინა, იგი სიხარულისაგან შეხტა. ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, რა უნდა გაჰხარებოდა — 29 ადრინდელ შეხვედრაში იუგოსლავიელებმა მოიგეს მხოლოდ 5. გავიხსენოთ თუნდაც ისტორიული შეხვედრა ჰელსინკის ოლიმპიადის ფინალში 1952 წელს, რომელიც პუშკაშის გუნდმა მოიგო ანგარიშით 2-0. მაგრამ მას შემდეგ, და, საერთოდ იუგოსლავიელების თავიანთ ჩრდილოელ მეზობლებთან უკანასკნელი წაგების შემდეგაც დიდი დრო გავიდა. იუგოსლავიელებს შესანიშნავი ფეხბურთელების მთელი თანავარსკვლავედი ჰყავთ, ვინ უნდა დაუპირისპირონ მათ დღეს უნგრელებმა?

როგორც სულ მალე ნათელი გახდა, ვერავინ. მატჩი ბუდაპეშტში, რომლისადმი მაყურებლებმა მცირე ინტერესი გამოავლინეს („ფერენცვაროშის“ სტადიონზე 13175 ბილეთი გაიყიდა) საოცარი ანგარიშით დამთავრდა — 7-1 სტუმრების სასარგებლოდ. ეს იყო უნგრული ფეხბურთის არნახული დამცირება, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ცნობილმა სპეციალისტმა შანდორ ბარჩმა ასე ახსნა: „ოდესღაც უნგრულ სკოლებში, კლასში თუ 30 მოწაფე იყო, აქედან 28 ფეხბურთს თამაშობდა. ახლა 30 მოსწავლიდან ფეხბურთს ორი თამაშობს“. სტატისტიკის მოყვარულთათვის — ამ 7 გოლიდან 3 მიატოვიჩმა გაიტანა, თითო — ბრნოვიჩმა, ჯუკიჩმა, სავიჩევიჩმა და მილოშევიჩმა. რომ ასეთი შედეგი შემთხვევითი არ იყო, სულ მალე ბელგრადშიც დადასტურდა: აქ იუგოსლავიელებმა კვლავ გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვეს, სტუმრებს 5 მშრალი ბურთი გაუტანეს (4 — მიატოვიჩი, 1 — მილოშევიჩი).

ერთი სიტყვით, სლობოდან სანტრაჩის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. როგორც ჩანს იწყება იუგოსლავიური ფეხბურთის ახალი ალმავლობა.

ბიჟი თორელი

ფინალისტები მზადებას შეუდგნენ

ამას წინათ „ლელემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩების სათამაშო კალენდარი, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა საფრანგეთისა და ესპანეთის ეროვნული ნაკრებების მოსალოდნელი შეხვედრა.

საფრანგეთი — ესპანეთი 1-0

მაშ ასე, პარიზის გარეუბანში აშენებულმა „სენ დენის“ სტადიონმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. მასზე შეკრებილი 70 ათასი გულშემატკივარი დაუვიწყარი სანახაობის მოწმე გახდა. მეტოქეებმა შემტევი, უკომპრომისო ფეხბურთი აჩვენეს. ერთადერთი გატანილი გოლის ავტორი ფრანგთა ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი გამოდგა.

იტალია — სლოვაკეთი 3-0

როგორც მოსალოდნელი იყო, „სკუადრა აძურას“ უპირატესობა ამ მატჩში აშკარა გახლდათ, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნაკრების დებიუტანტმა, ნახევარმცველმა მორიერომ, დიდი ხნის შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა მცველმა ტორიჩელიმ და ფორვარდმა კიეზამ. გოლები კი ყველა მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა და მათი ავტორები იყვნენ რავანელი, დელ პიერო და დი მატეო.

ტუნისი — იუგოსლავია 0-3

აქაც სენსაცია არ მომხდარა — სერბები ადვილად გაუმკლავდნენ მასპინძლებს. ორი გოლის ავტორი იოკანოვიჩი გახდა, ერთიც ბრონოვიჩმა გაიტანა.

ჰონკონგის ოთხთა ტურნირი

ნიგერია — ირანი 1-0

მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ მერე ტაიმში შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა (ახმედი). ეს მატჩი იმით იყო გამორჩეული, რომ ორივე გუნდში დებიუტი ჰქონდათ მწვრთნელებს ბორა მილუტინოვიჩს და ტომისლავ ივიჩს.

ჰონკონგი — ჩილე 3-1

მასპინძლები ადვილად გაუმკლავდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფინალისტს.

31 იანვარს ოთხთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს ჰონკონგი — ნიგერია შეხვდება.

კამერუნი — ანგოლა 1-0

„ბუნდესლიგაში უკეთ მოემზადები“

როცა დეკემბერში „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა გააფორმა ხელშეკრულება აშშ-ს ნაკრების წამყვან მოთამაშესთან, 28 წლის ერიკ ვინალდასთან, ამით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სამპსონი კმაყოფილი დარჩა: „ბუნდესლიგის წამყვან კლუბში მსოფლიო პირველობისთვის შეიძლება ყველაზე უკეთ მოემზადო“!

საინტერესოა, რომ ვინალდა ადრეც თამაშობდა გერმანიაში, ჯერ „საარბრიუკენსა“, ხოლო შემდეგ „ბოხუმში“. ახლა მასში გერმანულმა კლუბმა 160 ათასი დოლარი გადაიხადა. თვით ვინალდა მიიღებს თვიურ ხელფასს — 9 ათას მარკას და დამატებით — 12 ათას მარკას თითოეული ჩატარებული მატჩისთვის.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ოლივერ ბირჰოფი მოუნდა

1996 წლის ევროპის ჩემპიონატამდე ოლივერ ბირჰოფი რიგით ფეხბურთელად ითვლებოდა და ვარსკვლავად არავინ ნათლავდა. მაგრამ „უემბლიზე“ ჩადენილი „საქმენი საგმირონის“ შემდეგ ოლივერი მთელი გერმანიის სათაყვანებელ პიროვნებად იქცა და „უდინეზეშიც“ კიდევ უფრო მეტი ავტორიტეტი მოიპოვა. დღესდღეობით ბირჰოფი 14 გატანილი გოლით (გაბრიელ ბატისტუტასთან ერთად) სერია A-ს ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში და „მილანის“ პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის თვალთახედვის არეშია — იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მზადაა ბირჰოფში 17 მილიონი დოლარი გადაიხადოს. „უდინეზე“ ერთობ მოხიბლულია „მილანის“ გულუხვობით, არც ბირჰოფია გულგრილი ბერლუსკონის გრანდ-კლუბის მიმართ, თუმცა გაგანია სეზონში გუნდის გამოცვლას მაინცდამაინც მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. მოკლედ, ბოლო ევროპის ჩემპიონატის „ოქროს გოლის“ ავტორის მომავალი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

„ნიუკასლი“ – სკამგამთბობთა იმედად?

თემურ ქეცბაიას „ნიუკასლს“ რომ თავდასხმაში პრობლემები აქვს არასალია. კლუბმა და მთავარმა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა ჩათვალეს, რომ ამ პრობლემას, მხოლოდ ალან შირერის გამოჯანმრთელება ვერ უშველიდა და „მილანისგან“ 3 მილიონ გირვანქა-სტერლინგად შვედი ფორვარდი ანრეას ანდერსონი შეიძინეს. სკანდინავიელი იტალიურ კლუბში სეზონის დაწყების წინ გადავიდა, მაგრამ უმეტეს წილად სათადარიგოთა სკამის „გახეხვა“ უწევდა, თუმცა „ნიუკასლი“ ძალზე ოპტიმისტურად უყურებს ახალ შენაძენს.

ძვირადღირებული ფანები

მორიგი ფულადი ჯარიმის, ამჯერად 15 ათასი შვეიცარიული ფრანკის (10 ათასი დოლარამდე) გადახდა მოუწევს რუსეთის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკს“ უეფას თასის გათამაშებაში თავისი „ფანების“ აღვირახსნილობის გამო.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირმა ნიონში (შვეიცარია) საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განიხილა უეფას თასის გათამაშების მოსკოვის „სპარტაკისა“ და გერმანიის „კარლსრუეს“ მერვედფინალური მატჩების (1997 წლის 25 ნოემბრისა და 9 დეკემბრის) ინციდენტები. რუსეთის კლუბი დაჯარიმდა 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით მისი გულშემატკივრების მიერ კარლსრუეში მინდორზე მაშხალების სროლისათვის, 5 ათასით კი — მსგავსი მოქმედებისათვის მოსკოვში.

რა მოპყვება დმიბრიევის აღიარებას?

რუსულ ფეხბურთში სკანდალი მოწყვიდა: შარშანდელ სეზონში მოსკოვის „სპარტაკის“ კლუბმა უზარმაზარი თანხა გადაუხადა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“, რათა გაემარჯვებინა ჩემპიონატის ბოლო მატჩში. შედეგად მოსკოვურმა კლუბმა ოქროს მედლები მოიპოვა. ამასობაში, თურმე „ზენიტის“ მოქრთამვას ცდილობდა ვლადიკავკაზის „ალანიაც“, რომელიც გაცხადდა შეუჯანილ თითოეულ ფეხბურთელს მოგების შემთხვევაში 20 ათას დოლარს შეჰპირდა. ყოველივე ამის შესახებ რუსულ მასმედიას მოუთხრო „ზენიტის“ ყოფილმა ფეხბურთელმა სერგეი დმიტრიევმა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კლინსმანი ხომ ნაკრების კაპიტანია

იანვრის განმავლობაში ინგლისური და გერმანული პრესა ბევრს წერდა იურგენ კლინსმანზე. მართლაცდა, როგორ არის დღეისათვის მსოფლიო ფეხბურთის ამ ერთ-ერთი კორიფეს საქმე, იხილავენ თუ არა მას გულშემატკივრები საფრანგეთში?! კლინსმანს ესაუბრება „კიკერის“ კორესპონდენტი კარლჰაინც ვილდი.

277 წუთი დასჭირდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“ გადასულ კლინსმანს, რათა ამ თავისთვის ახალ და ძველ კლუბში (გერმანელი აქ წარმატებით თამაშობდა 1994-95 წლების სეზონში და 20 გოლიც გაიტანა), რათა ლონდონის „ვესტ ჰემში“, როგორც იქნა, ერთი ბურთი გაეტანა. ვერაფერი შედეგია ასეთი განთქმული სნაიპერისთვის.

● *ჰერ კლინსმან, ხომ არ გეშინოდათ, რომ კლუბების შეცვლით მცდარი ნაბიჯი გადადგით?*

— არა, პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ეს გავაკეთე.

● *რატომ? განა „ტოტენჰემში“ გაცილებით უკეთესია, ვიდრე გენუის „სამპდორიაში“?*

— მე ბოკოვს პაექრობა მოვუგე (ვოიადინ ბოკოვი ახლა „სამპდორიის“ მწვრთნელია), თუკი ლაპარაკი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზეა. ბიკოვთან რომ დავრჩენილიყავი, ამის საშუალება არ მექნებოდა.

● *რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის ეს პირველი გოლი?*

— მნიშვნელოვანი მოპოვებული სამი ქულაა. ჩვენ გვინდოდა გოლი ადრე გაგვეტანა, რასაც მივაღწიეთ კიდეც მე ადრეც ვიცოდი, რომ ადრეული გოლს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სისწრაფეს თავის მხრივ, ნაკლიც ახასიათებს. შეიძლება შემდეგ უზრუნველყოფა დაგეუფლოს.

● *რამდენად ძლიერი კლუბია „ტოტენჰემი“?*

— პოტენციალის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, იგი ინგლისის საუკეთესო 5-6 კლუბის რიცხვს უნდა მივაკუთნოთ. მაგრამ ეს არის, რომ უძლიერესი მოთამაშეები, როგორც ალან ნილსენი, ლეს ფერდინანდი და კრის ანდერტონი, კარგა ხანია გამოგვაკლდნენ.

● *ალაა თქვენი მეგობარი ნიკოლა ბერტიც ითამაშებს?*

— ნიკოლა ფიზიკურად ძლიერია.

● *მალე შტეფან ეფენბერგიც თქვენთან ჩაირიცხება?*

— ეფენბერგის შესაძლებელი ტრანსფერის შესახებ მე თვით ტელევიზიით შევიტყვე, ისევე როგორც გუნდის მწვრთნელებმა.

● *ინგლისის გულშემატკივრებთან გაზეთებმა თქვენ წარგადგინეს, როგორც მოთამაშე-მწვრთნელი.*

— მე არ მინდა ამ თემაზე ვილაპარაკო.

● *თქვენი გადმოსვლა „ტოტენჰემში“ ხომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადებას ნიშნავს?*

— აპრილში ამის შესახებ პრეზიდენტ ალან შუგართან უნდა ვისაუბრო. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მე თამაშს კი გავაგრძელებ, მაგრამ ნაკრებთან გამოთხოვებას ვაპირებ.

● *ლოთარ მათეუსმა ახლახან განაცხადა, რომ თუ ნაკრებს დასჭირდება, იგი მზად არის ითამაშოს. ისე რომ, კვლავ მათეუსისა და თქვენს ურთიერთობაზე ხომ არ მოგვიხდება ლაპარაკი?*

— ეს თემა მე არ მაინტერესებს.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი კლინსმანის საუბრისა ჟურნალ „ბილდის“ კორესპონდენტთან.

● *თქვენ იცოდით, რომ მატჩს „ვესტ ჰემთან“ ბერტი ფოგთსი ეს-წრება?*

— რა თქმა უნდა. განა შეეძლო მას ისე ჩამოსვლა, რომ ჩემთვის წინასწარ არ შეეტყობინებინა?

● *ერთი სიტყვით, თქვენ მატჩი საკმაოდ კარგად იმიტომ ჩაატარეთ, რომ გინდოდათ ეასზე შთაბეჭდილება მოგეხდინათ?*

— არა მხოლოდ ამიტომ. ჩემთვის, ცხადია, ჰქონდა მნიშვნელობა მას კარგი შთაბეჭდილება დარჩენოდა, მაგრამ გულშემატკივრების აზრსაც ვუწევ ანგარიშს, მათი თანაგრძნობაც მინდოდა.

● *მას შემდეგ, რაც „სამპდორია“ დასტოვეთ, ამ გუნდმა ძალიან შედეგიანად დაიწყო თამაში. სინიორიმ და მონტელამ იგი გატანილი გოლების თვალსაზრისით ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადაიყვანეს.*

— რა უნდა გითხრათ ამის შესახებ? მე არ ვთვლი, რომ „სამპდორიაში“ ბალასტი ვიყავი, უბრალოდ, საქმეები კარგად არ წამივიდა.

● *რა გითხრათ ბერტი ფოგთსმა „ვესტ ჰემთან“ მატჩის შემდეგ?*

— ის, რომ კვლავინდებურად ჩემი იმედი აქვს.

● *იმის მიუხედავად, რომ ნაკრებში ამ ბოლო ხანებში კარგად ვერ თამაშობთ? თქვენ ხომ შარშან 7 მატჩის განმავლობაში ნაკრებში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანეთ.*

— თავს დათრგუნულად ვგრძნობდი. საბედნიეროდ, სომხეთთან მატჩის დროს შევწყვიტე ეს წარუმატებელი სერია (ორი გოლი გაიტანა). დაბალი შედეგიანობის გამო მართლაც ბევრი მაკრიტიკებს.

● *ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მას შემდეგ, რაც 1995-96 წლების სეზონში ევროთასეულზე რეკორდი დაამყარეთ (15 გოლი უეფას თასზე „ბაიერნის“ შემადგენლობას), ვიღაცამ დაგწყევლათ — 1996 წლის შუა თვეებიდან გოლი თითქმის აღარ გაგაჭთ.*

— ეტყობა, ასე ემართება ყველას. რაღაც გარკვეულ ზღუდეს, რომ გადააბიჯებ, შემდეგ სიცარიელე იწყება.

● *ნაკრებში არაერთი კონკურენტი გყავთ, პირველ რიგში კი, ეტყობა, ოლივერ ბირჰოფი.*

— ფოგთსმა მითხრა, რომ ადგილი ნაკრებში უზრუნველყოფილი მაქვს. იმიტომ, რომ გუნდის კაპიტანი და ამ მომენტისათვის, ყველაზე გამოცდილი მოთამაშე ვარ. სომხეთთან მატჩი ჩემთვის ნაკრებში მეასე იყო. ჩემს გარდა ასიან ზღუდეს მხოლოდ ლოთარ მათეუსმა (122) და ფრანც ბეკენბაუერმა (103) გადააბიჯეს. ბერტი კი მოთამაშეების შერჩევისას უპირატესობას გამოცდილებას ანიჭებს. გერმანიის ნაკრებში, ოლივერ ბირჰოფის გარდა, ნამდვილად არის ბევრი ჩინებული თავდამსხმელი: ულუფ კირსტენი, ოლაფ მარშალი, კარსტენ იანკერი.

● *ერთი სიტყვით, თქვენი მდგომარეობა არასაიმედოა?*

— არა, მე ასე არ ვიტყოდი. ისე კი, თუ რამე შემემთხვა, გერმანიის ნაკრები არ დასუსტდება. იგი მძლავრი გუნდია, კარგი რეზერვით, შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის მოგება.

● *ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, რომ გერმანელებს გამარჯვებაში ხელს შეუწყობს განსაკუთრებული მენტალიტეტი და ფოგთსის გამოცდილება, რომელიც მან ადრინდელი შეცდომების გათვალისწინებით მიიღო.*

— სავსებით სწორია. ისეთ საწყენ დამარცხებას, როგორც 1994 წელს ბულგარელებთან განვიცადეთ. ფინალში გასვლა ყველაზე ცოტაა იმათთაგან, რაზედაც ჩვენ პრეტენზია გვაქვს.

FRANCE 98 INFORMATIONS

«ადიდასის» ბურთები – მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის რეფერენი

„ბელსტარიდან“ – „ტრიკოლორამდე“

1963 წელს, როცა უმეტესობა ბურთებისა იყო მძიმე, უხეში და მონოტონურად ყავისფერი, „ადიდასმა“ ხელი მოჰკიდა ბურთების პროდუქციას. ამ სპორტული ფირმის მიერ შექმნილ საფეხბურთო ბურთის პირველ მოდელს, „სანტიაგო“ ერქვა, რომელსაც ხვდა მოწონება და ხუთი წლის შემდეგ სრული მონოპოლიაც მოიპოვა – 1968 წლიდან თითქმის ყველა მაღალი რანგის ტურნირებსა თუ ცალკეულ მატჩებს სწორედ „სანტიაგო“ ემსახურებოდა, ხოლო 1970 წლიდან „ადიდასმა“ საფუძველი ჩაუყარა თავის ეპოქას მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებზე...

„ბელსტარი“ (Telstar)

1970 წელს, მექსიკაში „ადიდასმა“ პირველად მოამარაგა თავისი ბურთებით მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. ბურთი „ტელსტარი“ აგრეთვე იმითაც იყო მნიშვნელოვანი და ისტორიული, რომ ის გახლდათ პირველი ბურთი შავი ხუთკუთხედებით, რომელიც მყისვე იქცა თანამედროვე თამაშების ეკიპირების განსახიერებად. „ტელსტარი“ მომდევნო 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატსაც მოემსახურა. რაც შეეხება ამ ბურთის სახელს („ტელსტარი“) იგი შემთხვევითი სულაც არ გახლდათ, რადგან საფეხბურთო ტელეტრანსლიაციების გაზრდის საკითხი ახალ ფაზაში შედიოდა.

„ტანგო“ (Tango)

„ტანგო“ საკმაოდ წარმატებული მოდელი გახლდათ, რომელიც მხოლოდ ცეკვებთან როდი ასოცირდებოდა არგენტინის 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. „ტანგო“ აგრეთვე გამოყენებულ იქნა ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის ჩემპიონატზე. ის 32 ინდივიდუალურ ტყავის ნაჭრებისაგან შედგებოდა და თავსა და ბოლოს ვერ მოუძებნიდით. ექსპერტებიც კი თავს იკავებდნენ ეთქვათ რაიმე „ტანგოს“ შესახებ, სანამ ბოლო ნაჭერი არ აღმოჩნდა ბურთის გარსზე.

1982 წელს ესპანეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი „ტანგო ესპანა“ იმ დროისთვის უნაკლო ქმნილებას წარმოადგენდა. ის ისევე როგორც მისი ყველა წინამორბედი, ნამდვილი ტყავისგან იყო დამზადებული. „ტანგო ესპანა“ მთავარი მოდელი გახლდათ „ტანგოთა“ იმ ოჯახის, რომლის თითოეული წევრი სპეციალიზებული იყო ცალკეული მოედნებისათვის და კონკრეტული პირობებისთვის. მაგალითად, „ტანგო მუნდიალი“ რეკომენდებული იყო ძლიერი ქარის დროს, „ტანგო ალიკანტეს“ კი უმთავრესად მაშინ იყენებდნენ, როცა მატჩი პროჟექტორების განათებით მიმდინარეობდა, ხოლო „ტანგო მალაგა“ რეკომენდებული იყო ფეხბურთის დარბაზში თამაშისთვის.

„აზტეკა მეხიკო“ (Azteca Mexiko)

„აცტეკას“ მოდელი მექსიკის 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეიქმნა. ის ხელით შეკერილი ბურთი გახლდათ და აგრეთვე პირველი სინთეთიკური. „აცტეკას“ პოლიურეთანის „ქურქი“ ემოსა, რომლის ქვევით სამი სტრუქტურულად განსხვავებული ფენა

„ტრიკოლორი“

იყო განლაგებული, რომლებიც იყენენ თავმოყრილნი, რათა დაეზღვიათ ბურთის წინაღობა – უნარი ფორმის შენარჩუნებისა და წყალგაუმტარობისა.

„აცტეკას“ ოჯახში აგრეთვე შედიოდა „აცტეკა პუებლა“ და „აცტეკა აკაპულკო“, რომლებიც ხელით შეკერილი იყო და დიზაინითაც ანალოგიური.

„ეტრუსკო იუნიკო“ (Etrusco Unico)

ეს ბურთი მაღალ-ტექნიკური პროდუქტი იყო, რომელიც მთლიანად მაღალი ხარისხის სინთეთიკური ბოჭკოებისგან დამზადდა. წინამორბედისგან განსხვავებით დამატებული ჰქონდა კაუჩუკი ფორმის სტაბილურობისთვის და აგრეთვე იმისთვის, რომ ბურთი არ დაზიანებულიყო. ნეოფრინი კი კიდევ უფრო ხელს უწყობდა „ეტრუსკო იუნიკოს“ წყალმედეგობას. „აცტეკას“ მსგავსად „ადიდასის“ ამ მოდელსაც პოლიურეთანის გარე ფენა „ამშვენებდა“. („ეტრუსკო იუნიკო“ გამოყენებულ იქნა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიაში).

„ქუესტრა“ (Questra)

ეს მოდელი „ადიდასის“ ბურთების ტექნოლოგიის შემუშავების ცენტრში (საფრანგეთი) შეიქმნა. მან ტესტირება გაიარა გერმანიისა და საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში. დიზაინი ზედმიწევნით ითვალისწინებდა „ადიდასის“ თემას მსოფლიოს ჩემპიონატზე: სიახლე და „ვარსკვლავების ძიება“ (სიტყვა "quest" ინგლისურიდან ჩვენებურზე ძიებას ნიშნავს – *დ.თ.*).

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი „ქუესტრა“ დამზადდა ხუთი სხვადასხვა მატერიისაგან, რომლებსაც არახისტი და ამავდროულად მყარი პოლიურეთანის გარე ფენა ერთვოდა.

„ტრიკოლორი“ (Tricolore)

მსოფლიო თასის 1998 წლის გათამაშების ოფიციალური ბურთი მარსელის 4 დეკემბრის წილისყრამდე იქნა წარმოდგენილი. „ტრიკოლორი“ პირველი ფერადი ბურთია მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის. მისი გარსიც პოლიურეთანისგან შედგება, მაგრამ მოდერნიზირებული და გაუმჯობესებულია სხვადასხვა ნივთიერებებით. „ტრიკოლორეს“ პლასტიკური თვისებები ყველა წინამორბედზე უკეთესია. ძალიან მაღალია ამ ბურთის უკუქმედებაც. ახალი მატერიების დამატებამ „ტრიკოლორე“ უფრო რბილი და სწრაფი გახადა ვიდრე „ქუესტრა“. „ადიდასის“ ეს ახალი მოდელი გაცილებით მკვრივია და ყველა წინამორბედზე უფრო ზუსტი. „ტრიკოლორის“ შემქმნელებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ბურთს დიზაინს – წინასწარი 20 ვარიანტიდან გამოცდას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთმა გაუძლო. მე-16 მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი სიმბოლიზირებას უკეთებს თანამედროვე საფრანგეთის იმიჯს. თუმცა „ტრიკოლორი“ მარტო დღევანდელი დღით როდი არსებობს – ამ ბურთს სახელი რევოლუციური საფრანგეთის ფერებმა უბოძეს (ლურჯი, თეთრი, წითელი), „ტრიკოლორი“ ხომ სამფეროვნებას ნიშნავს. თუ ლურჯს, წითელს და თეთრ ფერებს ასოცირებას გავუკეთებთ, საფრანგეთის რევოლუციის ხანაში დაბრუნდებით, როცა ჯარისკაცები „კოკარდა“ ქუდებს ატარებდნენ, რომლებიც ლურჯით და წითლით იყო გასხივოსნებულნი – პარიზის ფერებით. თეთრი ფერი კი მონარქიის სიმბოლო გახლდათ. 1974 წელს ეს სამფეროვნება საფრანგეთის ოფიციალური სიმბოლოდ იქცა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ თანამედროვე საფრანგეთის იმიჯს, რომლის განსახიერებას მამლაყინწა, მაღალი სიჩქარის მატარებელი და ტურბინა წარმოადგენენ (ყველაფერი ეს არაფოტოგრაფიულად არის „ტრიკოლორზე“ აღბეჭდილი). მამლაყინწა საფრანგეთის ტრადიციული სიმბოლოა, აგრეთვე ქვეყნის ეროვნული გუნდის, ფორმის და თვით XVI მსოფლიო ჩემპიონატის მაღალი სიჩქარე ტურბინის იმიჯის ანარეკლია. ტურბინა კი სიძლიერის, წინ მოძრაობის და შეტევის, რომლებიც საფრანგეთის ენერგიისა და აღტკინების ატრიბუტებს წარმოადგენენ.

„FIFA MAGAZINE“-დან თარგმნა
დათო თავართქილაძემ

რეიტინგში უმნიშვნელო ცვლილებებია

უეფამ გამოაქვეყნა ევროპის საუკეთესო გუნდების მორიგი რეიტინგი. პირველი ოცეული კი ასე გამოიყურება:

1.	იუვენტუსი (იტალია)	—	103,61
2.	ინტერი (იტალია)	—	95,99
3.	აიაქსი (ჰოლანდია)	—	89,36
4.	ბაიერნი (გერმანია)	—	86,97
5.	პარმა (იტალია)	—	86,01
6.	ლაციო (იტალია)	—	85,85
7.	ბრიუგე (ბელგია)	—	83,94
8.	მანჩესტერი (ინგლისი)	—	83,89
9.	რეალი (ესპანეთი)	—	83,78
10.	კაიზერსლაუტერნი (გერმანია)	—	82,73
11.	ბაიერი (გერმანია)	—	80,76
12.	ფიორენტინა (იტალია)	—	80,31
13.	უდინეზე (იტალია)	—	78,45
14.	ბარსელონა (ესპანეთი)	—	78,38
15.	რომა (იტალია)	—	77,56.
16.	მეცი (საფრანგეთი)	—	77,02
17.	შტურმი (ავსტრია)	—	75,79
18.	დინამო (უკრაინა)	—	75,35
19.	პსჟ (საფრანგეთი)	—	75,28
20.	ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	—	75,18

როგორც გახსოვთ, შარშან ნოემბრამდე, სანამ თბილისის „დინამო“ საჭირო რაოდენობის მატჩებს ატარებდა ეროვნულ ჩემპიონატში და ევროპის საკლუბო ტურნირებში, მას მეთოთხმეტე მაჩვენებელი ჰქონდა, რის შესახებაც „ლელომ“ იმთავითვე შეატყობინა მკითხველებს.

რამდენს მიიღებენ გერმანელები?

თუკი გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვებს, გუნდის თითოეული მოთამაშე 150 ათას მარკას (დაახლოებით 88 ათას დოლარს) მიიღებს. შედარებისათვის, როცა 1974 წელს გერმანელებმა საკუთარ მინდორზე მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს, მათ 70 ათასი მარკა (40 400 დოლარი) მიიღეს, 1990 წელს ასეთივე წარმატებისათვის — 125 ათასი მარკა (72 ათასი დოლარი).

ევროპის ჩემპიონებმა უკვე მიიღეს 12 ათასი მარკა (7 ათასი დოლარი). მსოფლიო ჩემპიონატის თითოეული მატჩისათვის ყველაზე მეტი დაიმსახურეს მეკარე ანდრეას კეპკემ და თავდამსხმელმა ფრედი ბობიჩმა, რომლებიც ათივე მატჩში მონაწილეობდნენ — 120 ათასი მარკა (69.300 დოლარი). კიდევ ექვსმა ფეხბურთელმა — 108 ათასი მარკა (62 300 დოლარი).

თუკი გერმანელებმა მხოლოდ მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, მათი გასამრჯელო 45 ათასი მარკა (26 ათასი დოლარი) იქნება.

სპორტული თებერვალი

მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარი

3. მძლეოსნობა. „გრან-პრი“ იაფი. მადრიდი

2-5. ჩოგბურთი. არტ-ს ტურნირი. პეტერბურგი.

4-5. კალათბურთი. ევროლიგა, მეორე ეტაპი (ვაუები).

5-8. ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კარამბოლი. ფიზენი, გერმანია.

8. კრივი. მსოფლიოს პირველობის შეხვედრა ნახევარმძიმე წონაში. გ. როჩიანო (გერმანია) — მ. ნანი (აშშ). ბერლინი.

8. მძლეოსნობა. ტურნირი „რუსული ზამთარი“. მოსკოვი.

7-22. თენრი ოლიმპიადა. ნაგანო, იაპონია.

7-28. ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონატი. ბურკინა-ფასო.

13. მძლეოსნობა. მილოუზიის თამაშები. ნიუ-იორკი.

18-22. ბადმინტონი. მსოფლიოს გუნდური პირველობა. სადფორდი, ნორვეგია.

22. მძლეოსნობა. „გრან-პრი“ იაფი. ლეევენი, საფრანგეთი.

27-1. III. მძლეოსნობა, ევროპის ზამთრის პირველობა, ვალენსია, ესპანეთი.

28-1. III. სამთო მეთხილამურეობა. მსოფლიოს პირველობა (ვაუები), იუნ პიონი, სამხრეთ კორეა.

28-1.III. თხილამურები. მსოფლიო პირველობის ეტაპი (რბოლა, ორჭიდი, ტრამპლინიდან ხტომა), ლახტი, ფინეთი.

P.S. ამ ასპარეზობათა გარდა, წინა თვიდან გადმოვა შემდეგი შეჯიბრებები:

26. I-1 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მინსკი.

29.I-1 სამთომეთხილამურეობა. ორე, შვეიცია. მსოფლიო თასი (ქალები).

28. I-1 სამთო მეთხილამურეობა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია. მსოფლიო თასი (ვაუები)

30. I-1. მაგიდის ჩოგბურთი. ჰოლმსტადი. შვეიცია. ევროპის 12 უძლიერესის ტურნირი.

31.I-1. ველოსპორტი. კოპენჰაგენი. მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში.

დანაშაული და სასჯელი

როცა სკანდალი ფინანსურად ხელსაყრელია

ჩვენს ასწლეულში არაერთი სასამართლო გარჩევა მოინათლა „საუკუნის პროცესად“, მათ შორის არის ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელისა და ტელეკომენტატორის ოჯეი სიმპსონის საქმეც, რომელსაც ბრალდებოდა 1994 წლის 12 ივნისს ყოფილი ცოლის ნიკოლ ბრაუნისა და მისი მეგობრის რონალდ გოლდმანის მკვლელობა. ადრე გაუწყეთ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სიმპსონს გამამართლებელი ვერდიქტი გამოუტანა; „სამაგიეროდ“ სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მან 35 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს დაღუპულთა ოჯახებს...

მრავალთვიანი მიწყარების შემდეგ სიმპსონის გარშემო კვლავ აბობოქრდა ვნებები — ეურნალ „ესკვაირისადმი“ მიცემულ ინტერვიუში უხეირო გამონათქვამის მიზეზით: „დავუშვათ, რომ მე ჩავიდინე ეს დანაშაული; ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ნიკოლი ძალიან, ძალიან მიყვარდა, ხომ მართალია?“ არაერთ მკითხველს მოეჩვენა, რომ მოყვანილი ფრაზა დანაშაულის აღიარებად უნდა ჩაითვალოს... „არა და არა, — ტელევიზიიდან უარყო ახალი ბრალდება სიმპსონმა. მილიონ ტელემაყურებელს ვუმეორებ — მე არ მომიკლავს ნიკოლი და რონი“.

.. ისე, ნებისმიერი სკანდალი, ოჯეისათვის ხელსაყრელია: ეს ხომ ახალი ინტერვიუებია, ახალი პუბლიკაციები და ახალი შესაძლებლობა ფულის გასაკეთებლად; 35-მილიონიანი თანხა ჯერაც გადასახდელი აქვს...

დოპინგი

ახლა ფინელიც

ფინეთის ცნობილი მოთხილამურეობრბოლი იარი რიასიანენი ორგანიზმის ზრდის ჰორმონების ხმარებაშია მხილებული. ეროვნული ფედერაცია უკვე შეუდგა პრეპარატით სარგებლობის გარემოებათა გამოძიებას; სხვათა შორის, ეს იმ პრეპარატის მსგავსი ყოფილა, რომელიც ავსტრალიაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინელ მოცურავეებს „ამოუღეს“.

„საფიქრებელია, რომ საუკეთესო ფინელი მოთხილამურეები დოპინგს „შეექცევიან“ და ასეთი სერიოზული ბრალდება სწორედ ნაგანოში ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების დროს გაჩნდა“, — უთქვამს ფედერაციის წარმომადგენელს.

„ეს ცილისწამება პირდაპირ აღმაშფოთებელია; არამცთუ მიხმარია ჰორმონები — არც მიფიქრია ამაზე. მორალური ზარალისათვის 2 მილიონ მარკა კომპენსაციას მოვითხოვ (360 ათას ამერიკულ დოლარს) სააგენტოსაგან“, — აცხადებს თავის მხრივ ეჭვმიტანილი. მოგვიანებით მას ორჯერ შეუმცირებია საკომპენსაციო თანხა...

სააგენტოს კი ისიც გამოუჩხრეკია, რომ პრეპარატიანი (გენოტროფინიანი) ამპულები ერთ-ერთ ჰოსპიტალშია მოპარული.

ბრინჯაოს პრიზიორი ოქროს ელის

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ, 28 წლის რუსეთელ ძალოსან მაქსიმ აგაპიტოვს აღიარებენ მსოფლიო ჩემპიონად 91 კგ წონით კატეგორიაში, ვინაიდან „ბ“ სინჯმა, ისევე როგორც ადრე, ტაილანდში აღებულმა „ა“ სინჯმა პირველი ორი პრიზიორების — მოლდოველ ვადიმ ვაკარჩუკისა და თურქ სუნაია ბულატის დოპინგ-კონტროლის ტესტებმა კვლავ დადებითი შედეგი აჩვენა.

არჩილ მხეიძე

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ მხეიძე.

დაიბადა 1914 წლის 10 აგვისტოს თერჯოლაში. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საშუალო სკოლაში ფიზკულტურის პედაგოგად. 1939-46 წლებში არმიაში იყო — ომში მეთაურობდა ათასეულს. 1946-59 წლებში ბაკურიანის სპორტული ბაზის დირექტორად მუშაობდა. 1960-71 წლებში საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის განყოფილების გამგე იყო. 1971-84 წლებში — ნიჩბოსნობის ბაზის დირექტორი. შემდეგ აირჩიეს და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქ. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ. იყო ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი.

წავიდა ჩვენგან ნათელი კაცი, უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე და სპორტზე. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს
პროფკავშირების გაერთიანება
საქართველოს სპორტსმენთა და
სპორტის მუშაკთა პროფკავშირების
კომიტეტი

გამოსვენება კვირას, 1 თებერვალს 14 საათზე. მისამართი ალ. ყაზბეგის, 8.

პროფესიული კრივი

ჰონორარის გაყოფა თუ მოხერხდა...

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ წლეულს შეიძლება შედგეს მატჩი ევანდერ ჰოლიფილდსა და ლენოქს ლიუისს შორის. გამორჩენილ მოკრივეთა ორთაბრძოლას მხოლოდ ჰონორარის საკითხი თუ შეუშლის — არც ერთი ვარსკვლავი ხომ უმადობას არ უჩივის; და მაინც, თვით გადაწყვეტილება ამ ერთობ საინტერესო შერკინების თაობაზე უკვე მიღწევად მიაჩნიათ. გავიხსენოთ, რომ ჰოლიფილდი ვბა და იბფ ვერსიებით ჩემპიონია, ლიუისი კი — ვბს ვერსიით.

ლევან ლილუაშვილი



გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები შეწირა სპორტის ერთ-ერთ მეტად ძნელ სახეობას — თანამედროვე ხუთჭიდს. მრავალღირსებიანი რაინდის მოწოდება და მისწრაფება მუდამ იყო გამარჯვება საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. იყო კარგი მხედარი, მოფარიკავე, მსროლელი, მოცურავე და მორბენალი, რაც სპორტსმენისაგან დიდ ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს.

იგი იყო პირველი ქუთაისელი სპორტის ოსტატი თანამედროვე ხუთჭიდში და წლების მანძილზე წარმატებით იცავდა მშობლიური ქალაქის ღირსებას.

სპორტში მოღვაწეობასთან ერთად იგი წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წვრთნიდა თანამედროვე ხუთჭიდელებს, იყო ქუთაისის სატყეო ტექნიკური ტექნიკუმის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, ხოლო შემდგომში — მათემატიკის პედაგოგი.

სადაც კი იმუშავა ლევან ლილუაშვილმა, ნათელი და კეთილი კვალი დატოვა მეგობრებსა და აღსაზრდელებს შორის, ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი კეთილი სული.

ქუთაისის საქალაქო
სპორტკომიტეტი

33



40



1-10

5-24

31-20

თარაგულად: 1. ამერიკელი მძლეოსანი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, 3. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი, 27-29. „ატლეტიკოს“ ჩეხი ფეხბურთელი, 33. სომეხი მძლეოსანი, ევროპის ექს-რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში *(ფოტო)*, 58. ესპანელი ფეხბურთელი, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი, 60. წარსულში რუსი ტანმოვარჯიშე, 7 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი.

შვეულად: 1. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 4. არგენტინელი ფეხბურთელი, 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, 7-24. ეთიოპიელი სტაიერი, მოსკოვის ოლიმპიადის ორი ოქროს მედლის მფლობელი, 38. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 40. „ვალენსიას“ ფრანგი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 41. ამერიკელი სპრინტერი ქალი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ორი ოქროს მედლის მფლობელი.



დიაგონალურად: 1-10. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო)*, 21-2. მსაჯი, 23-6. გამოჩენილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 27-7. სპორტის ზამთრის სახეობა, 28-19. „კაიზერსლაუტერნის“ მცველი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 5-24. „პარმას“ ფრანგი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 11-26. „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი, მეკარე; საფეხბურთო კლუბები: 15-30, 32-16 იტალიის, 18-31 ჰოლანდიის, 58-49. შვეიცარიის, 53-38. ჩეხეთის, 31-44. საბერძნეთის, 36-51. რუსეთის; 14-29. გერმანელი ჩოგბურთელი, 31-20. „ფორმულა-1“-ის ფრანგი პილოტი *(ფოტო)*, 24-9. 1997 წლის აფრიკის რჩეული ფეხბურთელი, 26-12. „პორტუს“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 33-17. ავსტრალიელი მორბენალი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, 19-34. გერმანელი ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 7-35. წარსულში გამოჩენილი რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 8-25. ქართველი მოჭიდავე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, 3-22. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 13-4. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 28-43. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 27-55. „შტუტგარტის“ ბულგარელი ფეხბურთელი, 37-54. სპორტული საბრძოლო იარაღი, 40-59. პორტუგალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, '1961-62 წლების ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, 45-29. ქართული სარაგბო კლუბი, 46-30. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 50-36. ლეგენდარული ეთიოპიელი მორბენალი, 42-31. „პარმას“ ფეხბურთელი, 33-48. „ბაიერნის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 32-47. პენალტი ჰოკეიში, 38-57. „ატლეტიკოს“ საფეხბურთო მწვრთნელი, 43-34. ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი, 55-35. რუსი მოჭიდავე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 56-39. ამერიკელი მოცურავე, 9 ოქროს ოლიმპიური მედლის მფლობელი, 60-41. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 1980 წლის ევროპის ჩემპიონი, 52-61. „იუვენტუსის“ საფეხბურთო მწვრთნელი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაგულად: 3. ლუკე, 8. სამორანო, 16. „ევერტონი“, 43. ბერლუსკონი, 44. „როტორი“, 47. ჰელიძე, 61. ევერტი, 64. არტიმე, 65. „ფიორენტინა“, 86. არაბამია, 96. ედერსონი, 100. ინსი. **შვეულად:** 3. ლომიძე, 4. ერანიო, 35. ფერგიუსონი, 38. ბრონშტეინი, 39. ზატოპეკი, 40. „ოლიმპიკი“, 41. კაჭარავა, 42. სკიფინო, 44. რიმე, 48. ეივე, 87. ალბერი, 88. მენოტი. **დიაგონალურად:** 2-22. ალტობელი, 17-1. „სევილია“, 25-2. შაკაბიადა, 10-34. „კრემონეზე“, 13-36. ცუგცვანგი, 7-21. ლიდერი, 18-51. დიუსელდორფი, 12-30 „ვაშაში“, 26-50. სიმონსენი, 29-55. „ფეიეენორდი“, 25-45. მარათონი, 45-22. იოსელიანი, 6-20. პლატინი, 5-28. ასანოვიჩი, 23-5. ოლივეირა, 33-11. შავლაყაძე, 37-14 ჩოჩიშვილი, 24-9. „ციბონა“, 52-19. პროტოპოპოვი, 31-15. ბონევი, 53-27. ესხაიდერი, 60-32. კლოდოალდო, 46-28. ანკეტილი, 23-64. ოლიმპიადა, 62-79. „იუვენტუსი“, 74-62. გერეგინი, 70-49. წყალუბარი, 75-56. ჩესლავსკა, 89-71. „ბრეშია“, 83-57. კაფელნიკოვი, 95-78. „ლიმოჟი“, 90-66. ფრენბურთი, 93-69. ჩერჩესოვი, 99-79. ასათიანი, 74-99. გვარდიოლა, 82-98. გაბელია, 80-63. ალბერტინი, 63-77. ივანჩუკი, 54-73. ეფენბერგი, 59-76. რომინგერი, 72-92. ტოსტაო, 58-84. უნივერსიადა, 81-97. ზამერი, 67-91. ლიტბარსკი, 68-94. ხარლამოვი, 80-101. ამარილდო, 101-77. ოვერმარსი, 102-85. ვოინოვი.

საჭადრაკო ამოცანა

დ. მიულერი (გერმანია)



შამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფხ8! (ცუგცვანგი)

1. ...მფგ6 2. მe3! მფხ5 3. მg2 მფგ6 4. მf4#.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონ